# ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 2
# *აქციებზე დაფუძნებული გადახდა*

## მიზანი

1. წინამდებარე სტანდარტის მიზანია, განსაზღვროს ფინანსური ანგარიშგების მომზადების წესი საწარმოსთვის, რომელიც აქციებზე დაფუძნებულ გადახდის ოპერაციებს ახორციელებს. კერძოდ, სტანდარტის პრინციპების თანახმად, საწარმომ მოგებაში ან ზარალში და ფინანსურ მდგომარეობაში უნდა ასახოს აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციების შედეგები, მათ შორის ისეთ ოპერაციებთან დაკავშირებული ხარჯები, რომლის თანახმადაც დასაქმებულებს გამოეყო *აქციის ოფციონები*.

## მოქმედების სფერო

2. საწარმომ ეს სტანდარტი უნდა გამოიყენოს აქციებზე დაფუძნებული გადახდის ყველანაირი ოპერაციის აღრიცხვისთვის, იმის მიუხედავად, შეუძლია თუ არა მას ყველა ან ზოგიერთი მიღებული საქონლის ან მომსახურების ზუსტად განსაზღვრა, როგორიცაა, მათ შორის:

   ა) *აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციები წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით;*

   ბ) *აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციები ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით*; და

   გ) ოპერაციები, რომლის დროსაც საწარმო საქონელს ან მომსახურებას იძენს და შეთანხმების პირობები საწარმოს, ან ამ საქონლის, ან მომსახურების მომწოდებელს უზრუნველყოფს არჩევანის უფლებით – საწარმო ფულადი სახსრებით (ან სხვა აქტივებით) გადაიხდის ამ ოპერაციისთვის, თუ წილობრივი ინსტრუმენტის გამოშვებით -

   გარდა 3ა-6 პუნქტებში აღწერილისა. თუ არ არსებობს კონკრეტულად იდენტიფიცირებადი საქონელი ან მომსახურება, შეიძლება სხვა გარემოებები მიანიშნებდეს, რომ საწარმომ მიიღო (ან მიიღებს) საქონელი ან მომსახურება, რა შემთხვევაშიც იგი გამოიყენებს წინამდებარე სტანდარტს.

3. [გაუქმებულია].

3ა. აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციები შეიძლება დაიფაროს ჯგუფის სხვა საწარმოს მიერ (ან ჯგუფის რომელიმე საწარმოს აქციონერის მიერ) იმ საწარმოს სახელით, რომელიც იღებს ან იძენს საქონელს ან მომსახურებას. მე-2 პუნქტი ეხება იმ საწარმოსაც:

   ა) რომელიც იღებს საქონელს ან მომსახურებას და იმავე ჯგუფის სხვა საწარმოს (ან ჯგუფის რომელიმე საწარმოს აქციონერს) გააჩნია აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციის ანგარიშსწორების ვალდებულება; ან

   ბ) რომელსაც გააჩნია აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციის ანგარიშსწორების ვალდებულება და იმავე ჯგუფის სხვა საწარმო იღებს საქონელს ან მომსახურებას,

   იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ეს ოპერაცია საწარმოსთვის მიწოდებული საქონლის ან მომსახურების ანაზღაურებისგან აშკარად განსხვავებულ სხვა მიზანს ემსახურება.

4. ამ სტანდარტის მიზნებისთვის, აქციებზე დაფუძნებულ გადახდის ოპერაციას არ წარმოადგენს დასაქმებულთან (ან სხვა მხარესთან) განხორციელებული ოპერაცია, რომელშიც დასაქმებული (ან სხვა მხარე) მოქმედებს საწარმოს წილობრივი ინსტრუმენტების მფლობელის სტატუსით. მაგალითად, თუ საწარმო მისი კონკრეტული კლასის წილობრივი ინსტრუმენტის ყველა მფლობელს დამატებითი წილობრივი ინსტრუმენტების შეძენის უფლებას გადასცემს წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებაზე ნაკლებ ფასად და დასაქმებული ამ უფლებას იღებს იმის გამო, რომ იგი ამ კლასის წილობრივი ინსტრუმენტების მფლობელია, ამგვარი უფ-

ლების გადაცემის ან გამოყენების მიმართ არ გამოიყენება წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნები.

5. როგორც მე-2 პუნქტშია აღნიშნული, წინამდებარე სტანდარტი გამოიყენება აქციებზე დაფუძნებული გადახდის ისეთი ოპერაციისთვის, რომლის დროსაც საწარმო იძენს, ან იღებს საქონელს ან მომსახურებას. საქონელი მოიცავს მარაგს, საწარმოო მოხმარებისთვის განკუთვნილ საქონელს, ძირითად საშუალებებს, არამატერიალურ აქტივებსა და სხვა არაფინანსურ აქტივებს. თუმცა, საწარმომ არ უნდა გამოიყენოს ეს სტანდარტი ისეთი ოპერაციებისთვის, რომლის დროსაც საწარმო საქონელს შეიძენს საწარმოთა გაერთიანებისას (როგორც ეს ტერმინი განმარტებულია ფასს 3-ში - „*საწარმოთა გაერთიანება*“ (გადასინჯული 2008 წელს)) შეძენილი წმინდა აქტივების შემადგენელი ნაწილის სახით, კერძოდ, ისეთი საწარმოების ან სამეურნეო სუბიექტების გაერთიანებისას, რომლებიც საერთო კონტროლს ექვემდებარებიან, როგორც აღწერილია ფასს 3-ის ბ1-ბ4 პუნქტებში, ან წილის სახით, ერთობლივი საწარმოს ფორმირებისას, როგორც ეს განმარტებულია ფასს 11-ში - „*ერთობლივი საქმიანობა*“. მაშასადამე, შეძენილ საწარმოზე კონტროლის მოპოვების სანაცვლოდ საწარმოთა გაერთიანების დროს გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები არ განეკუთვნება ფასს 2-ის მოქმედების სფეროს. თუმცა, შეძენილი საწარმოს დასაქმებულებისთვის, როგორც საწარმოში დასაქმებულთათვის გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტები (მაგალითად, მომსახურების გაგრძელების სანაცვლოდ) განეკუთვნება წინამდებარე სტანდარტის მოქმედების სფეროს. ანალოგიურად, *აქციებზე დაფუძნებული გადახდის შეთანხმებების* გაუქმება, მათი პირობების შეცვლა ან სხვა ტიპის მოდიფიკაცია, რაც საწარმოთა გაერთიანებამ ან საკუთარი კაპიტალის სხვა სახის რესტრუქტურიზაციამ განაპირობა, უნდა აისახოს ამ სტანდარტის თანახმად. ფასს 3-ში მოცემულია მითითებები, როგორ უნდა განსაზღვროს საწარმომ, საწარმოთა გაერთიანების დროს გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები შეძენილ საწარმოზე კონტროლის აღების სანაცვლოდ გადაცემული კომპენსაციის ნაწილია (და, მაშასადამე, ფასს 3-ის მოქმედების სფეროს განეკუთვნება), თუ უწყვეტი მომსახურების ანაზღაურებაა, რომელიც უნდა აღიარდეს საწარმოთა გაერთიანების შემდგომ პერიოდში (და, მაშასადამე, განეკუთვნება ამ სტანდარტის მოქმედების სფეროს).

6. მოცემული სტანდარტი არ გამოიყენება აქციებზე დაფუძნებული გადახდის ისეთი ოპერაციის მიმართ, რომლის დროსაც საწარმო საქონელს ან მომსახურებას იღებს ან იძენს ისეთი ხელშეკრულების ფარგლებში, რომელიც განეკუთვნება ბასს 32-ის (გადასინჯული 2003 წელს)[1] - „*ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა*“ - მე-8-10 პუნქტების, ან ფასს 9-ის - „*ფინანსური* ინსტრუმენტები“ - 2.4–2.7 პუნქტების მოქმედების სფეროს.

6ა. წინამდებარე სტანდარტში გამოყენებული ტერმინის „სამართლიანი ღირებულება“ მნიშვნელობა რამდენადმე განსხვავდება ფასს 13-ში - „*სამართლიანი ღირებულების შეფასება*“ - მოცემული განმარტებისგან. ამგვარად, როდესაც საწარმო ფასს 2-ს იყენებს, მან სამართლიანი ღირებულება უნდა შეაფასოს არა ფასს 13-ის, არამედ ფასს 2-ის შესაბამისად.

## აღიარება

**7. საწარმომ აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციის ფარგლებში მიღებული ან შეძენილი საქონელი ან მომსახურება მაშინ უნდა აღიაროს, როდესაც მიიღებს ამ საქონელს ან მომსახურებას. საწარმომ უნდა აღიაროს საკუთარი კაპიტალის შესაბამისი ზრდა, თუ საქონელი ან მომსახურება მიღებულია აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციის ფარგლებში, რომელიც წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებას ითვალისწინებს, ან ვალდებულება, თუ საქონელი ან მომსახურება შეძენილია აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციის ფარგლებში, რომელიც ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებას ითვალისწინებს.**

**8. როდესაც აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციის ფარგლებში მიღებული ან შეძენილი საქონელი ან მომსახურება არ აკმაყოფილებს აქტივებად აღიარების კრიტერიუმებს, ისინი ხარჯად უნდა აღიარდეს.**

9. საზოგადოდ, ხარჯი საქონლის ან მომსახურების მოხმარების შედეგად წარმოიშობა. მაგალითად, მომსახურების გამოყენება, როგორც წესი, დაუყოვნებლივ ხდება და ხარჯიც მაშინვე

1. ბასს 32-ის სახელწოდება შეიცვალა 2005 წელს.

 © IFRS Foundation

აღიარდება, როგორც კი მეორე მხარე მომსახურებას გასწევს. საქონლის მოხმარება შეიძლება დროთა განმავლობაში გაგრძელდეს ან, მარაგის შემთხვევაში, მოგვიანებით გაიყიდოს, რა შემთხვევაშიც ხარჯი მაშინ აღიარდება, როდესაც საქონელი მოიხმარება ან გაიყიდება. თუმცა, ზოგჯერ ხარჯის აღიარება აუცილებელია მანამ, სანამ საქონლის ან მომსახურების მოხმარება ან გაყიდვა მოხდება, ვინაიდან ისინი არ აკმაყოფილებს აქტივებად აღიარების კრიტერიუმებს. მაგალითად, საწარმომ შეიძლება საქონელი შეიძინოს ახალი პროდუქტის შემუშავების პროექტის კვლევის ფაზის შემადგენელი ნაწილის სახით. მიუხედავად იმისა, რომ ეს საქონელი საწარმოს მიერ არ იყო მოხმარებული, იგი შეიძლება არ აკმაყოფილებდეს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს, შესაბამისი სტანდარტის მიხედვით.

## აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციები, წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით

### მიმოხილვა

**10. აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციისთვის, რომელიც წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებას ითვალისწინებს, საწარმომ მიღებული საქონელი ან მომსახურება და საკუთარ კაპიტალში შესაბამისი ზრდა პირდაპირ უნდა შეაფასოს, მიღებული საქონლის ან მომსახურების სამართლიანი ღირებულებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც სამართლიანი ღირებულების საიმედოდ შეფასება შეუძლებელია. თუ მიღებული საქონლის ან მომსახურების სამართლიანი ღირებულების საიმედოდ შეფასება შეუძლებელია, საწარმომ მათი ღირებულება და საკუთარი კაპიტალის შესაბამისი ზრდა უნდა შეაფასოს არაპირდაპირ, გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების საფუძველზე.[2]**

11. მე-10 პუნქტის მოთხოვნების გამოსაყენებლად ისეთი ოპერაციების მიმართ, რომლებიც დაკავშირებულია *დასაქმებულებთან და მსგავსი მომსახურების გამწევ სხვა პირებთან*,[3] საწარმომ მიღებული მომსახურების სამართლიანი ღირებულება უნდა შეაფასოს გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების საფუძველზე, ვინაიდან, საზოგადოდ, მიღებული მომსახურების სამართლიანი ღირებულების საიმედოდ შეფასება შეუძლებელია, როგორც მე-12 პუნქტშია ახსნილი. ამ წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება აქციებზე დაფუძნებულ გადახდაზე უფლების მინიჭების თარიღისთვის უნდა შეფასდეს.

12. საზოგადოდ, აქციები, აქციის ოფციონები და სხვა წილობრივი ინსტრუმენტები დასაქმებულებს მათი ანაზღაურების პაკეტის ფარგლებში გამოეყოფათ, ხელფასთან და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოებთან ერთად. ჩვეულებრივ, შეუძლებელია მიღებული მომსახურების პირდაპირ შეფასება დასაქმებულის ანაზღაურების პაკეტის ცალკეული კომპონენტისთვის. ასევე შეიძლება დამოუკიდებლად ვერ შეფასდეს ანაზღაურების მთლიანი პაკეტი, გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების პირდაპირი შეფასების გარეშე. გარდა ამისა, ზოგჯერ აქციების ან აქციის ოფციონების გადაცემა პრემირების შეთანხმების ფარგლებში ხდება და არა ძირითადი ანაზღაურების ფარგლებში, მაგალითად, როგორც დასაქმებულების წახალისება, დარჩნენ საწარმოში სამუშაოდ, ან როგორც მათი ძალისხმევის ჯილდო, საწარმოს შედეგების გაუმჯობესების საქმეში. სხვა ანაზღაურებასთან ერთად, აქციების ან აქციის ოფციონების გადაცემით საწარმო დამატებით ანაზღაურებას იხდის დამატებითი სარგებლის მისაღებად. ამ დამატებითი სარგებლის სამართლიანი ღირებულების შეფასება საკმაოდ ძნელია. მიღებული მომსახურების პირდაპირი შეფასების სირთულის გამო, საწარმომ დასაქმებულებისგან მიღებული მომსახურების სამართლიანი ღირებულება უნდა შეაფასოს გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების საფუძველზე.

13. მე-10 პუნქტის მოთხოვნების გამოსაყენებლად დასაქმებულთა გარდა სხვა მხარეებთან დაკავშირებული ოპერაციების მიმართ, არსებობს უარყოფადი ვარაუდი, რომ მიღებული საქონლის ან

[2] ამ სტანდარტში გამოყენებულია ფრაზა „საფუძველზე“ და არა „სამართლიანი ღირებულებით“, ვინაიდან ოპერაციები საბოლოოდ ფასდება მე-11 და მე-13 პუნქტებში (რომელიც მისაღებია) განსაზღვრული თარიღისათვის შეფასებული, გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების გამრავლებით წილობრივი ინსტრუმენტების რაოდენობაზე, როგორც მე-19 პუნქტშია ახსნილი.

[3] ამ სტანდარტის დანარჩენ ნაწილში, ყველგან, სადაც ნახსენებია დასაქმებულები, ასევე იგულისხმება მსგავსი მომსახურების გამწევი სხვა პირებიც.

მომსახურების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. სამართლიანი ღირებულება უნდა შეფასდეს იმ თარიღისთვის, როდესაც საწარმო საქონელს იღებს, ან მეორე მხარე მომსახურებას გასწევს. იშვიათ შემთხვევებში, თუ საწარმო უარყოფს ამ მოსაზრებას იმის გამო, რომ საიმედოდ ვერ შეაფასებს მიღებული საქონლის ან მომსახურების სამართლიან ღირებულებას, საწარმომ მიღებული საქონლის ან მომსახურების სამართლიანი ღირებულება და საკუთარი კაპიტალის შესაბამისი ზრდა არაპირდაპირ უნდა შეაფასოს, გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების საფუძველზე, რომელიც შეფასებულია იმ თარიღისათვის, როდესაც საწარმო საქონელს იღებს ან მეორე მხარე მომსახურებას გასწევს.

13ა. კერძოდ, თუ საწარმოს მიერ მიღებული იდენტიფიცირებადი ანაზღაურება (თუ ასეთი არსებობს) ნაკლებია გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტების ან აღებული ვალდებულების სამართლიან ღირებულებაზე, როგორც წესი, ამგვარი სიტუაცია იმის მიმანიშნებელია, რომ საწარმომ მიიღო (ან მიიღებს) სხვა სახის ანაზღაურება (ანაზღაურებას) (ე.ი. არაიდენტიფიცირებადი საქონელი ან მომსახურება). საწარმომ მიღებული იდენტიფიცირებადი საქონელი ან მომსახურება უნდა შეაფასოს წინამდებარე სტანდარტის შესაბამისად. საწარმომ მიღებული (ან მისაღები) არაიდენტიფიცირებადი საქონელი ან მომსახურება უნდა შეაფასოს, როგორც სხვაობა აქციებზე დაფუძნებული გადახდის სამართლიან ღირებულებასა და მიღებული (ან მისაღები) იდენტიფიცირებადი საქონლის ან მომსახურების სამართლიან ღირებულებას შორის. საწარმომ მიღებული არაიდენტიფიცირებადი საქონელი ან მომსახურება უნდა შეაფასოს აქციებზე დაფუძნებულ გადახდაზე უფლების მინიჭების თარიღისთვის. ამასთან, ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციებისთვის, ვალდებულება ხელახლა უნდა შეფასდეს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს 30-33-ე პუნქტების შესაბამისად, სანამ არ დაიფარება.

### ოპერაცია, რომლის დროსაც საწარმო მომსახურებას იღებს

14. თუ გამოყოფილ წილობრივ ინსტრუმენტებზე დაუყოვნებლივ ხდება უფლების გადაცემა, მეორე მხარეს არ მოეთხოვება მომსახურების წინასწარგანსაზღვრული პერიოდის დამთავრება, რათა უპირობოდ უფლებამოსილი გახდეს ამ წილობრივი ინსტრუმენტების მიღებაზე. საწინააღმდეგო მტკიცებულების არარსებობის შემთხვევაში, საწარმომ უნდა მიიჩნიოს, რომ მიღებული აქვს მეორე მხარის მიერ გაწეული მომსახურება, როგორც წილობრივი ინსტრუმენტების ანაზღაურება. ამ შემთხვევაში, აქციებზე დაფუძნებულ გადახდაზე უფლების მინიჭების თარიღისთვის საწარმომ სრულად უნდა აღიაროს მიღებული მომსახურება და ასევე საკუთარი კაპიტალის შესაბამისი ზრდა.

15. თუ გამოყოფილ წილობრივ ინსტრუმენტებზე უფლების გადაცემა არ ხდება მანამ, სანამ მეორე მხარე არ დაასრულებს მომსახურების წინასწარგანსაზღვრულ პერიოდს, საწარმომ უნდა მიიჩნიოს, რომ მეორე მხარის მიერ წილობრივი ინსტრუმენტების სანაცვლოდ გასაწევ მომსახურებას მომავალში მიიღებს, *უფლების გადაცემის პერიოდის* განმავლობაში. საწარმომ ეს მომსახურება უნდა ასახოს უფლების გადაცემის პერიოდის განმავლობაში მეორე მხარის მიერ მომსახურების გაწევის შესაბამისად და, ამასთან, აღიაროს საკუთარი კაპიტალის შესაბამისი ზრდა. მაგალითად:

ა) თუ დასაქმებულს აქციის ოფციონები გამოუყვეს სამი წლის მომსახურების პირობით, მაშინ საწარმომ უნდა მიიჩნიოს, რომ დასაქმებულის მიერ აქციის ოფციონების სანაცვლოდ გასაწევ მომსახურებას მომავალში მიიღებს, უფლების გადაცემის სამწლიანი პერიოდის განმავლობაში;

ბ) თუ დასაქმებულს აქციის ოფციონები გამოუყვეს *საქმიანობის გარკვეული პირობის* მისაღწევად და საწარმოში სამუშაოდ დარჩენის პირობით მანამ, სანამ ეს პირობა არ შესრულდება, ხოლო უფლების გადაცემის პერიოდის ხანგრძლივობა იცვლება იმისდა მიხედვით, როდის დაკმაყოფილდება საქმიანობის პირობა, საწარმომ უნდა მიიჩნიოს, რომ დასაქმებულის მიერ აქციის ოფციონების სანაცვლოდ გასაწევ მომსახურებას მომავალში მიიღებს, უფლების გადაცემის მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში. საწარმომ უფლების გადაცემის მოსალოდნელი პერიოდის ხანგრძლივობა უნდა გამოთვალოს აქციებზე დაფუძნებულ გადახდაზე უფლების მინიჭების თარიღისათვის საქმიანობის პირობის ყველაზე მეტად მოსალოდნელ შედეგზე დაყრდნობით. თუ საქმიანობის პირობა *საბაზრო პირობაა*, უფლების გადაცემის მოსალოდნელი პერიოდის ხანგრძლივობის შეფასება შესა-

 © IFRS Foundation

ზამისობაში უნდა მოვიდეს გამოყოფილი ოფციონების სამართლიანი ღირებულების გამოთვლებში გამოყენებულ დაშვებებთან და შემდგომში აღარ უნდა გადაისინჯოს (შესწორდეს). თუ საქმიანობის პირობა საბაზრო პირობა არ არის, საწარმომ, აუცილებლობის შემთხვევაში, უნდა შეასწოროს უფლების გადაცემის პერიოდის ხანგრძლივობის შეფასება, თუ შემდგომი ინფორმაცია მიუთითებს, რომ უფლების გადაცემის პერიოდის ხანგრძლივობა განსხვავებულია ადრინდელი შეფასებებისაგან.

## გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების საფუძველზე შეფასებული ოპერაციები

### გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

16. ოპერაციისთვის, რომელიც გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების საფუძველზე არის შეფასებული, საწარმომ გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება უნდა შეაფასოს *შეფასების თარიღისათვის* არსებულ საბაზრო ფასებზე დაყრდნობით, თუ ამგვარი ფასები ხელმისაწვდომია, იმ ვადებისა და პირობების გათვალისწინებით, რომლითაც ამ წილობრივი ინსტრუმენტების გადასაცემად გამოყოფა მოხდა (მე-19-22 პუნქტების მოთხოვნების გათვალისწინებით).

17. თუ საბაზრო ფასები ხელმისაწვდომი არაა, საწარმომ გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება უნდა გამოთვალოს შეფასების მეთოდის (მოდელის) გამოყენებით, რათა დაადგინოს, რა იქნებოდა ამ წილობრივი ინსტრუმენტების ფასი შეფასების თარიღისთვის, საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“ განხორციელებულ ოპერაციაში. შეფასების მეთოდი შესაბამისობაში უნდა იყოს ფინანსური ინსტრუმენტების ფასის განსაზღვრისათვის საზოგადოდ მიღებულ შეფასების მეთოდოლოგიასთან და უნდა მოიცავდეს ყველა ფაქტორსა და დაშვებას, რომელსაც საქმის მცოდნე და გარიგების მსურველი ბაზრის მონაწილეები განიხილავდნენ ფასის განსაზღვრისას (მე-19-22 პუნქტების მოთხოვნების გათვალისწინებით).

18. „ბ“ დანართი მოიცავს უფრო დეტალურ მითითებებს აქციებისა და აქციის ოფციონების სამართლიანი ღირებულების შეფასებასთან დაკავშირებით. ამ დანართში ყურადღება გამახვილებულია ყველაზე ტიპურ პირობებსა და ვადებზე, რომლებიც დასაქმებულებისთვის აქციების ან აქციის ოფციონების გამოყოფის ოპერაციებისთვის არის დამახასიათებელი.

### სააღრიცხვო მიდგომა უფლების გადაცემის პირობებისთვის

19. წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემა შესაძლოა პირობითი იყოს უფლების გადაცემისთვის დადგენილი პირობების შესრულებამდე. მაგალითად, დასაქმებულთათვის აქციების ან აქციის ოფციონების გადაცემა, როგორც წესი, პირობითია, წინასწარ განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში საწარმოში მათი სამუშაოდ დარჩენის პირობის თვალსაზრისით. შესაძლებელია დადგენილი იყოს საქმიანობის პირობები, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს, მაგალითად საწარმოს მოგების გარკვეული დონით ზრდის მიღწევა, ან საწარმოს აქციების ფასის გარკვეული ზრდა. შეფასების თარიღისთვის აქციების ან აქციის ოფციონების სამართლიანი ღირებულების გამოთვლებში არ გაითვალისწინება საბაზრო პირობების გარდა სხვა უფლების გადაცემის პირობები. ამის ნაცვლად, საწარმომ უფლების გადაცემის სხვა პირობები, რომლებიც არ არის საბაზრო პირობები, მხედველობაში უნდა მიიღოს იმ წილობრივი ინსტრუმენტების რაოდენობის კორექტირების მეშვეობით, რომლებიც მონაწილეობს გარიგების თანხის შეფასებაში ისე რომ, საბოლოო ჯამში, გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტების ანაზღაურების სანაცვლოდ მიღებულ საქონელთან ან მომსახურებასთან დაკავშირებით აღიარებული თანხა ეყრდნობოდეს წილობრივი ინსტრუმენტების იმ რაოდენობას, რომელზეც ფაქტობრივად მოხდება უფლების გადაცემა. აქედან გამომდინარე, მთლიანობაში, მიღებულ საქონელთან ან მომსახურებასთან დაკავშირებით არანაირი თანხა არ აღიარდება, თუ გამოყოფილ წილობრივ ინსტრუმენტებზე უფლების გადაცემა არ მოხდება იმის გამო, რომ არ შესრულდა *უფლების გადაცემის არასაბაზრო პირობა*, მაგალითად, თუ მეორე მხარემ ვერ შეასრულა საწარმოში სამუშაოდ დარჩენის (მომსახურების გაწევის) დათქმული პერიოდის პირობა, ან საქმიანობის პირობა არ შესრულდა, 21-ე პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად.

20. იმისათვის, რომ გამოიყენოს მე-19 პუნქტის მოთხოვნები, საწარმომ უფლების გადაცემის პერიოდის განმავლობაში მიღებულ საქონელთან ან მომსახურებასთან დაკავშირებით თანხა უნდა

აღიაროს იმ წილობრივი ინსტრუმენტების რაოდენობის ყველაზე ხელმისაწვდომი საუკეთესო შეფასების საფუძველზე, რომელზეც მოსალოდნელია უფლების გადაცემა და, საჭიროებისამებრ, უნდა შეასწოროს ეს შეფასება, თუ შემდგომი ინფორმაცია მიუთითებს, რომ წილობრივი ინსტრუმენტების რაოდენობა, რომელზეც მოსალოდნელია უფლების გადაცემა, განსხვავდება წინანდელი შეფასებისგან. უფლების გადაცემის თარიღისათვის საწარმომ, 21-ე პუნქტის მოთხოვნების გათვალისწინებით, უნდა შეასწოროს ეს შეფასება, რათა იგი გაუტოლდეს წილობრივი ინსტრუმენტების იმ რაოდენობას, რომელზეც საბოლოოდ მოხდა უფლების გადაცემა.

21. საბაზრო პირობები, მაგალითად, აქციების დათქმული ფასი, რომელზეც დამოკიდებულია უფლების გადაცემა (ან გამოყენებადობა), გათვალისწინებულ უნდა იქნეს გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას. ამგვარად, გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტებისთვის, რომელთა გადაცემა დამოკიდებულია საბაზრო პირობებზე, საწარმომ უნდა აღიაროს ნებისმიერი მეორე მხარისაგან მიღებული საქონელი ან მომსახურება, რომელიც აკმაყოფილებს უფლების გადაცემის ყველა სხვა პირობას (მაგალითად, დასაქმებულისაგან მიღებული მომსახურება, რომელიც საწარმოს სამსახურში რჩება მომსახურების წინასწარგანსაზღვრული პერიოდის განმავლობაში), იმის მიუხედავად, დაკმაყოფილდა თუ არა საბაზრო პირობები.

### სააღრიცხვო მიდგომა სხვა პირობებისთვის, რომლებიც არ არის უფლების გადაცემის პირობები

21ა. ანალოგიურად, საწარმომ გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დროს, მხედველობაში უნდა მიიღოს ყველა სხვა პირობაც, რომელიც არ წარმოადგენს წილობრივ ინსტრუმენტებზე უფლების გადაცემის პირობას. ამგვარად, ისეთი პირობების მქონე გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც არ წარმოადგენს უფლების გადაცემის პირობას, საწარმომ უნდა აღიაროს მეორე მხარისგან მიღებული ის საქონელი ან მომსახურება, რომელიც აკმაყოფილებს უფლების გადაცემის ყველა არასაბაზრო პირობას (მაგ.,დასაქმებულისგან მიღებული მომსახურება, რომელიც მომსახურების გასაწევად საწარმოში რჩება დათქმული პერიოდის განმავლობაში), იმის მიუხედავად, შესრულებულია თუ არა პირობები, რომლებიც არ წარმოადგენს უფლების გადაცემის პირობას.

### სააღრიცხვო მიდგომა აქციის ოფციონის განმეორებით გამოყოფის უფლებისთვის

22. *განმეორებით გამოყოფის პირობის* მქონე აქციის ოფციონებისთვის, საწარმომ ეს პირობა არ უნდა გაითვალისწინოს გამოყოფილი აქციის ოფციონების სამართლიანი ღირებულების გამოთვლისას შეფასების თარიღისათვის. ამის ნაცვლად, *განმეორებით გამოყოფილი ოფციონი* მხოლოდ მაშინ უნდა აღირიცხოს როგორც ახალი ოფციონის გამოყოფა, როდესაც მოხდება მისი გამოყოფა შემდგომში.

### უფლების გადაცემის თარიღის შემდეგ

23. მას შემდეგ, რაც საწარმო მე-10-22 პუნქტების შესაბამისად აღიარებს მიღებულ საქონელს ან მომსახურებას და საკუთარი კაპიტალის შესაბამის ზრდას, უფლების გადაცემის თარიღის შემდეგ საწარმომ აღარ უნდა დააკორექტიროს მთლიანი საკუთარი კაპიტალი. მაგალითად, საწარმომ შემდგომში არ უნდა შეამციროს დასაქმებულისგან მიღებულ საქონელთან ან მომსახურებასთან დაკავშირებით აღიარებული თანხა, თუ შემდგომში უფლებამოსილებაში გადაცემული წილობრივი ინსტრუმენტების ჩამორთმევა მოხდება ან, აქციის ოფციონების შემთხვევაში, ოფციონი არ იქნება აღსრულებული. თუმცა, ეს მოთხოვნა საწარმოს არ უკრძალავს საკუთარი კაპიტალის ფარგლებში თანხების მოძრაობის აღიარებას, ე.ი. კაპიტალის ერთი კომპონენტიდან მეორეში გადატანას.

### თუ წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების საიმედოდ შეფასება შეუძლებელია

24. მე-16-23 პუნქტების მოთხოვნები მაშინ გამოიყენება, როდესაც საწარმოს აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციის შეფასება მოეთხოვება გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების საფუძველზე. იშვიათ შემთხვევებში, საწარმომ შეიძლება საიმედოდ ვერ გამოთვალოს გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება შეფასების თარიღისათვის, მე-16-22 პუნქტების მოთხოვნების შესაბამისად. მხოლოდ ამ იშვიათ შემთხვევებში საწარმომ სანაცვლოდ უნდა:


© IFRS Foundation

ა) შეაფასოს წილობრივი ინსტრუმენტები მათი *საკუთარი ღირებულებით,* თავიდან იმ თარიღისთვის, როდესაც საწარმო საქონელს იღებს ან მეორე მხარე მომსახურებას გასწევს და ასევე შემდგომში, ყოველი საანგარიშგებო თარიღისა და საბოლოო ანგარიშსწორების თარიღისთვის, ხოლო საკუთარი ღირებულების ნებისმიერი ცვლილება აღიაროს მოგება/ზარალში. გამოყოფილი აქციის ოფციონებისთვის, აქციებზე დაფუძნებული გადახდის შეთანხმებისთვის საბოლოო ანგარიშსწორება ხდება მაშინ, როდესაც ოფციონები აღსრულდება, მათზე უფლება იკარგება (მაგალითად, დასაქმების შეწყვეტისას), ან ოფციონები ძალას კარგავს (მაგალითად, ოფციონის ვადის დასრულებისას);

ბ) აღიაროს მიღებული საქონელი ან მომსახურება წილობრივი ინსტრუმენტების იმ რაოდენობის საფუძველზე, რომლებზეც საბოლოოდ განხორციელდება უფლების გადაცემა, ან რომლებიც საბოლოოდ აღსრულდება (სადაც აღსრულებაა შესაფერისი). აქციის ოფციონებთან მიმართებით ამ მოთხოვნების გამოსაყენებლად, მაგალითად საწარმომ მიღებული საქონელი ან მომსახურება უნდა აღიაროს მე-14 და მე-15 პუნქტების თანახმად, უფლების გადაცემის პერიოდის განმავლობაში, თუ ასეთი არსებობს, თუკი მას არ ეხება 15(ბ) პუნქტის მოთხოვნები საბაზრო პირობების შესახებ. მიღებული საქონლის ან მომსახურების თანხის აღიარება უფლების გადაცემის პერიოდის განმავლობაში უნდა ეყრდნობოდეს აქციის ოფციონების იმ რაოდენობას, რომლებზეც მოსალოდნელია უფლების გადაცემა. საწარმომ, საჭიროებისამებრ, უნდა შეასწოროს ეს შეფასება, თუ შემდგომი ინფორმაცია მიუთითებს, რომ აქციის ოფციონების რაოდენობა, რომლებზეც მოსალოდნელია უფლების გადაცემა, განსხვავებულია ადრინდელი შეფასებისაგან. უფლების გადაცემის თარიღისთვის საწარმომ უნდა შეასწოროს ეს შეფასება, რათა იგი უტოლდებოდეს წილობრივი ინსტრუმენტების იმ რაოდენობას, რომელზეც საბოლოოდ განხორციელდა უფლების გადაცემა. უფლების გადაცემის თარიღის შემდეგ საწარმომ უნდა გააუქმოს მიღებულ საქონელთან ან მომსახურებასთან დაკავშირებით აღიარებული თანხა, თუ შემდგომში აქციის ოფციონების ჩამორთმევა მოხდა ან მათ ძალა დაკარგეს აქციის ოფციონების ვადის დასრულებისას.

25. თუ საწარმო 24-ე პუნქტს იყენებს, აუცილებელი არაა 26-29-ე პუნქტების გამოყენება, ვინაიდან წილობრივი ინსტრუმენტების გამოყოფის ვადებსა და პირობებში მომხდარი ნებისმიერი ცვლილება გაითვალისწინება 24-ე პუნქტში აღწერილი საკუთარი ღირებულების მეთოდის გამოყენების დროს. თუმცა, თუ საწარმო ანგარიშსწორებას ახორციელებს გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტების ისეთი შეთანხმების მიხედვით, რომლისთვისაც 24-ე პუნქტი გამოიყენა:

ა) საწარმომ ამგვარი ანგარიშსწორება უნდა აღრიცხოს, როგორც უფლების გადაცემის დაჩქარება, თუ ანგარიშსწორება ხდება უფლების გადაცემის პერიოდის განმავლობაში. მაშასადამე, დაუყოვნებლივ უნდა აღიაროს ის თანხა, რომელიც სხვაგვარად აღიარებული იქნებოდა უფლების გადაცემის დარჩენილი პერიოდის განმავლობაში მიღებული მომსახურებისათვის;

ბ) ანგარიშსწორებისთვის გადახდილი ნებისმიერი თანხა უნდა აღირიცხოს როგორც წილობრივი ინსტრუმენტის გამოსყიდვა. ე.ი. როგორც საკუთარი კაპიტალიდან გამოქვითვა, იმ ოდენობით, რამდენითაც გადახდილი თანხა აღემატება წილობრივი ინსტრუმენტების საკუთარ ღირებულებას, რომელიც შეფასებულია გამოსყიდვის თარიღისთვის. ნებისმიერი ასეთი მეტობა ხარჯად უნდა აღიარდეს.

## წილობრივი ინსტრუმენტების გამოყოფის ვადებისა და პირობების მოდიფიკაცია, მათ შორის გაუქმება და გადახდა

26. საწარმომ შეიძლება შეცვალოს ის ვადები და პირობები, რომლის საფუძველზეც წილობრივი ინსტრუმენტების გადასაცემად გამოყოფა განხორციელდა. მაგალითად, შეიძლება შეამციროს დასაქმებულებისთვის გამოყოფილი ოფციონების აღსრულების ფასი (ე.ი. ოფციონებს ხელახლა დაადოს ფასი), რაც ზრდის ამ ოფციონების სამართლიან ღირებულებას. 27-29-ე პუნქტების მოთხოვნები, რომლებიც ამგვარი მოდიფიცირების შედეგების აღრიცხვას ეხება, ჩამოყალიბებულია დასაქმებულებთან განხორციელებულ აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციების კონტექსტში. თუმცა, საწარმომ ეს მოთხოვნები, დასაქმებულების გარდა, სხვა მხარეებთან განხორციელებულ აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციებისთვისაც უნდა გამოიყენოს, რომლებიც უნდა შეფასდეს გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების საფუძველზე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, 27-29-ე პუნქტებში, სადაც

მითითებულია აქციებზე დაფუძნებულ გადახდაზე უფლების მინიჭების თარიღი, საწარმომ უნდა იგულისხმოს თარიღი, როდესაც საქონელს იღებს ან მეორე მხარე მომსახურებას გასწევს.

27. საწარმომ, როგორც მინიმუმი, უნდა აღიაროს მიღებული მომსახურება, რომელიც შეფასებულია გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულებით, აქციებზე დაფუძნებულ გადახდაზე უფლების მინიჭების თარიღისათვის, ისეთი შემთხვევის გარდა, როდესაც არ ხდება წილობრივ ინსტრუმენტებზე უფლების გადაცემა უფლების გადაცემის პირობის (რომელიც არ არის საბაზრო პირობა) შეუსრულებლობის გამო, რომელიც განსაზღვრული იყო აქციებზე დაფუძნებულ გადახდაზე უფლების მინიჭების თარიღისათვის. ეს პრინციპი გამოიყენება იმ ვადებისა და პირობების ნებისმიერი ცვლილებებისაგან დამოუკიდებლად, რომლის საფუძველზეც განხორციელდა წილობრივი ინსტრუმენტების გამოყოფა, ან იმის მიუხედავად, მოხდა თუ არა წილობრივი ინსტრუმენტების გამოყოფის გაუქმება ან დაფარვა. გარდა ამისა, საწარმომ უნდა აღიაროს ისეთი ცვლილებების შედეგები, რომლებიც ზრდის აქციებზე დაფუძნებული გადახდის შეთანხმების მთლიან სამართლიან ღირებულებას, ან სხვაგვარად არის სასარგებლო დასაქმებულისთვის. ამ მოთხოვნის გამოყენების მითითებები მოცემულია „ბ“ დანართში.

28. თუ საწარმო წილობრივი ინსტრუმენტების გამოყოფას აუქმებს ან გადაიხდის გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტებისთვის განსაზღვრული უფლების გადაცემის პერიოდის განმავლობაში (იმ შემთხვევის გარდა, როდესაც წილობრივი ინსტრუმენტების გამოყოფა უქმდება ჩამორთმევის გზით, იმის გამო, რომ უფლების გადაცემის პირობები არ შესრულდა):

ა) საწარმომ გაუქმება ან გადახდა უნდა აღრიცხოს, როგორც უფლების გადაცემის დაჩქარება და, ამგვარად, დაუყოვნებლივ უნდა აღიაროს თანხა, რომელიც სხვა შემთხვევაში უნდა აღიარებულიყო უფლების გადაცემის დარჩენილ პერიოდში მიღებული მომსახურებისთვის;

ბ) წილობრივი ინსტრუმენტების გამოყოფის გაუქმების ან გადახდის დროს დასაქმებულისთვის გადახდილი ნებისმიერი თანხა უნდა აღირიცხოს როგორც საკუთარი კაპიტალის წილის გამოსყიდვა, ე.ი. როგორც საკუთარი კაპიტალიდან გამოქვითვა, იმ ოდენობით, რამდენითაც გადახდა აღემატება გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებას, რომელიც შეფასებულია გამოსყიდვის თარიღისათვის. ნებისმიერი ასეთი მეტობა ხარჯად უნდა აღიარდეს. თუმცა, თუ აქციებზე დაფუძნებული გადახდის შეთანხმება მოიცავს ვალდებულების კომპონენტებსაც, საწარმომ ხელახლა უნდა განსაზღვროს ამ ვალდებულების სამართლიანი ღირებულება წილობრივი ინსტრუმენტების გამოყოფის გაუქმების ან გადახდის თარიღისთვის. ვალდებულების კომპონენტის დასაფარად განხორციელებული ნებისმიერი გადახდა უნდა აისახოს როგორც შესაბამისი ვალდებულების დაფარვა;

გ) თუ დასაქმებულს ახალი წილობრივი ინსტრუმენტები გამოეყო და ახალი წილობრივი ინსტრუმენტების გამოყოფის თარიღისათვის საწარმო გამოყოფილ ახალ წილობრივ ინსტრუმენტებს განსაზღვრავს, როგორც გაუქმებული წილობრივი ინსტრუმენტების ჩანაცვლებას წილობრივი ინსტრუმენტებით, საწარმომ წილობრივი ინსტრუმენტების შეცვლა ისეთივე გზით უნდა ასახოს, როგორც თავდაპირველად გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტების მოდიფიკაცია, 27-ე პუნქტისა და „ბ“ დანართის მითითებების შესაბამისად. გამოყოფილი დამატებითი სამართლიანი ღირებულება წარმოადგენს სხვაობას ჩანაცვლებული წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებასა და გაუქმებული წილობრივი ინსტრუმენტების წმინდა სამართლიან ღირებულებას შორის, იმ თარიღისათვის, როდესაც წილობრივი ინსტრუმენტების გამოყოფის ჩანაცვლება განხორციელდა. გაუქმებული წილობრივი ინსტრუმენტების წმინდა სამართლიანი ღირებულება არის მასამართლიანი ღირებულება უშუალოდ გაუქმების წინ, რასაც აკლდება წილობრივი ინსტრუმენტების გაუქმებისას დასაქმებულისთვის გადახდილი ნებისმიერი თანხა, რომელიც აღირიცხება როგორც საკუთარი კაპიტალიდან გამოქვითვა ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად. თუ საწარმო გამოყოფილ ახალ წილობრივ ინსტრუმენტებს არ განსაზღვრავს, როგორც გაუქმებული წილობრივი ინსტრუმენტების ჩანაცვლებას წილობრივი ინსტრუმენტებით, საწარმომ ახალი წილობრივი ინსტრუმენტები უნდა აღრიცხოს როგორც წილობრივი ინსტრუმენტების ახალი გამოყოფა.

 © IFRS Foundation

28ა. თუ საწარმოს ან მეორე მხარეს არჩევანის უფლება აქვს, შეასრულებს თუ არა გარკვეულ პირობას, რომელიც არ წარმოადგენს უფლების გადაცემის პირობას, საწარმომ უფლების გადაცემის პერიოდის განმავლობაში ამ პირობის შეუსრულებლობა თვითონ საწარმოს ან მეორე მხარის მხრიდან უნდა ასახოს, როგორც წილობრივი ინსტრუმენტების გამოყოფის გაუქმება.

29. თუ საწარმო გამოისყიდის დასაქმებულის უფლებამოსილებაში გადაცემულ წილობრივ ინსტრუმენტებს, დასაქმებულისთვის გადახდილი თანხა უნდა აღირიცხოს როგორც საკუთარი კაპიტალიდან გამოქვითვა, იმ ოდენობით, რამდენითაც გადახდა აღემატება გამოსყიდული წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებას, რომელიც შეფასებულია გამოსყიდვის თარიღისათვის. ნებისმიერი ასეთი მეტობა ხარჯად უნდა აღიარდეს.

## აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციები ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით

**30. ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციებისთვის, საწარმომ მიღებული საქონელი ან მომსახურება და წარმოშობილი ვალდებულება უნდა შეაფასოს ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით, 31-33დ პუნქტების შესაბამისად. სანამ ვალდებულება არ დაიფარება, საწარმომ ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ხელახლა უნდა შეაფასოს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ასევე ანგარიშსწორების თარიღისთვის, ხოლო სამართლიანი ღირებულების ნებისმიერი ცვლილება აღიაროს პერიოდის მოგებაში ან ზარალში.**

31. მაგალითად, საწარმომ დასაქმებულებს, ანაზღაურების პაკეტის ფარგლებში, შეიძლება მიანიჭოს უფლება აქციის ფასის ზრდით მიღებულ შემოსავალზე, რის შედეგადაც დასაქმებულები მომავალში, წინასწარგანსაზღვრულ პერიოდში, მოიპოვებენ ფულადი სახსრებით ანაზღაურების (და არა წილობრივი ინსტრუმენტებით) მიღების უფლებამოსილებას, რომლის ოდენობა განისაზღვრება საწარმოს აქციების ფასის ზრდის საფუძველზე, აქციის ფასის დათქმულ დონესთან შედარებით. მეორე მხრივ, საწარმომ დასაქმებულებს მომავალში ფულადი სახსრებით ანაზღაურების უფლება შეიძლება მიანიჭოს აქციებზე უფლების მინიჭებით (მათ შორის, აქციებზე, რომლებსაც საწარმო უშვებს აქციის ოფციონების აღსრულებისას), რომელიც გამოსყიდვას ექვემდებარება ან სავალდებულოდ (შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას), ან დასაქმებულის სურვილისამებრ. ამგვარი შეთანხმებები ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციების მაგალითებია. 32-33დ პუნქტებში ზოგიერთი მოთხოვნის საილუსტრაციოდ გამოყენებულია ანაზღაურების მიღების უფლებები აქციის ფასის გაზრდისას; თუმცა, ამ პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნები ეხება ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით აქციებზე დაფუძნებულ ყველა გადახდის ოპერაციას.

32. საწარმომ მიღებული მომსახურება და ამ მომსახურებისათვის გადასახდელი ვალდებულება უნდა აღიაროს მაშინ, როდესაც დასაქმებული მომსახურებას გასწევს. მაგალითად, აქციის ფასის ზრდით მიღებულ შემოსავალზე ზოგიერთი უფლების გადაცემა დაუყოვნებლივ ხდება და, ამდენად, დასაქმებულს აღარ მოეთხოვება მომსახურების დათქმული პერიოდის დასრულება იმისთვის, რომ მოიპოვოს ფულადი სახსრებით ანაზღაურების უფლებამოსილება. თუ საწინააღმდეგო მტკიცებულებები არ არსებობს, საწარმომ უნდა მიიჩნიოს, რომ მიიღო დასაქმებულის მიერ გაწეული მომსახურება აქციის ფასის ზრდით მიღებულ შემოსავალზე მინიჭებული უფლებების სანაცვლოდ. ამგვარად, საწარმომ დაუყოვნებლივ უნდა აღიაროს მიღებული მომსახურება და გადასახდელი ვალდებულება. თუ აქციის ფასის ზრდით მიღებულ შემოსავალზე უფლებების გადაცემა არ ხდება მანამ, სანამ დასაქმებული მომსახურების დათქმულ პერიოდს არ დაასრულებს, საწარმო მიღებულ მომსახურებასა და მისთვის გადასახდელ ვალდებულებას მაშინ აღიარებს, როდესაც დასაქმებული მომსახურებას გასწევს ამ პერიოდის განმავლობაში.

33. საწარმომ ვალდებულება თავდაპირველად და ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სანამ დაიფარება, უნდა შეაფასოს აქციის ფასის ზრდით მიღებულ შემოსავალზე მინიჭებული უფლებების სამართლიანი ღირებულებით, ოფციონების შეფასების მოდელის გამოყენებით, იმ ვადებისა და პირობების გათვალისწინებით, რომლის მიხედვითაც მოხდა აქციის ფასის ზრდით მიღებულ შემოსავალზე უფლებების მინიჭება, ასევე საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე დასაქმებულის მიერ გაწეული მომსახურების მოცულობის შესაბამისად, 33ა-33დ პუნქტების მოთხოვნების გათვალისწინებით. საწარმომ შეიძლება შეცვალოს ის ვადები და პირობები, რომლის მიხედვითაც მოხდა ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით აქციებზე

დაფუძნებულ გადახდაზე უფლების მინიჭება. „ბ“ დანართის ბ44ა-ბ44გ პუნქტებში მოცემულია სახელმძღვანელო მითითებები აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციების ისეთი ტიპის მოდიფიკაციის აღრიცხვის წესთან დაკავშირებით, რომელიც იწვევს ოპერაციის კლასიფიკაციის შეცვლას, კერძოდ, როდესაც კლასიფიკაცია „აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაცია ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით“ იცვლება კლასიფიკაციით „აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაცია წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით“.

### სააღრიცხვო მიდგომა უფლების გადაცემის პირობებისა და სხვა პირობებისთვის, რომლებიც არ არის უფლების გადაცემის პირობები

33ა. აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაცია ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით შეიძლება პირობითი იყოს უფლების გადაცემის გარკვეული პირობების შესრულებამდე. შესაძლებელია დადგენილი იყოს საქმიანობის პირობები, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს, მაგალითად საწარმოს მოგების გარკვეული დონით ზრდის მიღწევა ან საწარმოს აქციების ფასის გარკვეული ზრდა. უფლების გადაცემის არასაბაზრო პირობები არ გაითვალისწინება, როდესაც საწარმო შეფასების თარიღის მდგომარეობით ადგენს ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით აქციებზე დაფუძნებული გადახდის სამართლიან ღირებულებას. ამის ნაცვლად, საწარმომ უფლების გადაცემის არასაბაზრო პირობები მხედველობაში უნდა მიიღოს იმ ჯილდოების რაოდენობების კორექტირების მეშვეობით, რომლებიც გაითვალისწინა ამ ოპერაციიდან წარმოშობილი ვალდებულების შეფასებისას.

33ბ. იმისათვის, რომ 33ა პუნქტის მოთხოვნები გამოიყენოს, საწარმომ გარკვეული თანხა უნდა აღიაროს უფლების გადაცემის პერიოდის განმავლობაში მიღებულ საქონელთან ან მომსახურებასთან მიმართებით. აღნიშნული თანხა საწარმომ უნდა განსაზღვროს იმ ჯილდოების რაოდენობის საუკეთესო ხელმისაწვდომი შეფასების საფუძველზე, რომელზეც მოსალოდნელია უფლების გადაცემა. საწარმომ, აუცილებლობის შემთხვევაში, უნდა შეასწოროს აღნიშნული შეფასება, თუ შემდგომი ინფორმაცია მიუთითებს, რომ ჯილდოების რაოდენობა, რომელზეც მოსალოდნელია უფლების გადაცემა, განსხვავდება წინანდელი შეფასებისგან. უფლების გადაცემის თარიღისთვის საწარმომ უნდა შეასწოროს ეს შეფასება და გაუტოლოს იმ ჯილდოების რაოდენობას, რომელზეც საბოლოოდ მოხდა უფლების გადაცემა.

33გ. როდესაც ადგენს ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით აქციებზე დაფუძნებულ გადახდაზე მინიჭებული უფლებების სამართლიან ღირებულებას, ასევე ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ანგარიშსწორების თარიღისთვის ამ სამართლიანი ღირებულების ხელახლა განსაზღვრისას, საწარმომ უნდა გაითვალისწინოს საბაზრო პირობები, როგორიცაა აქციის საკონტროლო ფასი, რომლის მიღწევაზეც დამოკიდებულია უფლებების გადაცემა (ან უფლებების გამოყენების შესაძლებლობა), ასევე პირობები, რომლებზეც დამოკიდებული არ არის უფლებების გადაცემა.

33დ. 30-33გ პუნქტების გამოყენების შედეგად, მთლიანი თანხა, რომელიც, საბოლოო ჯამში, აღიარდება ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით აქციებზე დაფუძნებული გადახდის ანაზღაურების სანაცვლოდ მიღებულ საქონელთან ან მომსახურებასთან დაკავშირებით, ტოლი იქნება გადახდილი ფულადი სახსრების ოდენობის.

## აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციები იმ საგადასახადო ვალდებულებების ნეტო ანგარიშსწორების პირობით, რომელთა დაკავება გადახდის წყაროსთან ხდება

33ე. საგადასახადო კანონმდებლობა შეიძლება საწარმოს ავალდებულებდეს დასაქმებულისთვის გარკვეული ოდენობის გადასახადის დაკავებას აქციებზე დაფუძნებულ გადახდასთან დაკავშირებით და ამ თანხის საგადასახადო ორგანოსთვის გადაცემას (როგორც წესი, ფულადი სახსრების სახით) დასაქმებულის სახელით. აღნიშნული საკანონმდებლო ვალდებულების შესასრულებლად საწარმოს, აქციებზე დაფუძნებული გადახდის შეთანხმების თანახმად, შეიძლება უფლება ჰქონდეს, ან მოეთხოვებოდეს დასაქმებულის საგადასახადო ვალდებულების ფულადი ღირებულების ტოლი წილობრივი ინსტრუმენტების გარკვეული რაოდენობის დაკავება, იმ წილობრივი ინსტრუმენტების მთლიანი რაოდენობიდან, რომლებიც სხვა შემთხვევაში უნდა გამოეშვა საწარმოს დასაქმებულისთვის აქციებზე დაფუძნებული გადახდის განხორციელებისას (ან ამგვარ გადახდაზე უფლების გადაცემისას) (ე.ი. აქციებზე დაფუძნებული გადახდის შეთანხმება შეიცავს ნეტო ანგარიშსწორების პირობას“).

 © IFRS Foundation

33ვ. 34-ე პუნქტის მოთხოვნებიდან გამონაკლისის სახით, საწარმომ 33ე პუნქტში აღწერილ ოპერაცია მთლიანად უნდა მიანიჭოს კლასიფიკაცია „აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაცია წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით“, თუკი ეს ოპერაცია ამგვარად იქნებოდა კლასიფიცირებული ნეტო ანგარიშსწორების პირობის არარსებობის შემთხვევაში.

33ზ. საწარმომ წინამდებარე სტანდარტის 29-ე პუნქტი უნდა გამოიყენოს საგადასახადო ორგანოსთვის გადასახდელი თანხის დაფინანსების მიზნით დაკავებული აქციების აღრიცხვისთვის, რაც განხორციელდა დასაქმებულის აქციებზე დაფუძნებულ გადახდასთან დაკავშირებულ საგადასახადო ვალდებულებასთან მიმართებით. ამგვარად, განხორციელებული გადახდა უნდა აისახოს, როგორც საკუთარი კაპიტალიდან გამოქვითვა დაკავებულ აქციებთან დაკავშირებით, მაგრამ იმ თანხის გამოკლებით, რა სიდიდითაც გადასახადი აღემატება დაკავებული წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებას ნეტო ანგარიშსწორების თარიღის მდგომარეობით.

33თ. 33ზ პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისი არ გამოიყენება:

ა) ნეტო ანგარიშსწორების პირობის მქონე აქციებზე დაფუძნებული გადახდის შეთანხმებასთან, რომელთან მიმართებაშიც საწარმოს საგადასახადო კანონმდებლობით არ გააჩნია დასაქმებულისთვის გადასახადის დაკავების ვალდებულება აქციებზე დაფუძნებულ გადახდასთან დაკავშირებით; ან

ბ) იმ წილობრივ ინსტრუმენტებთან მიმართებით, რომლებიც საწარმომ დააკავა დასაქმებულის საგადასახადო ვალდებულებაზე გადამეტებით (ე.ი. საწარმომ დააკავა აქციების ისეთი რაოდენობა, რომელიც აღემატება დასაქმებულის საგადასახადო ვალდებულების ფულად ღირებულებას). ამგვარი აუცილებელზე მეტი რაოდენობის აქციების დაკავება საწარმომ უნდა აღრიცხოს, როგორც აქციებზე დაფუძნებული გადახდა ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით, თუ დასაქმებულისთვის ამ თანხის გადახდა ფულადი სახსრებით (ან სხვა აქტივებით) ხდება.

## აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციები ფულადი სახსრებით ანგარიშსწორების ალტერნატივით

**34. აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაცია (ან მისი კომპონენტები), რომლის შეთანხმების პირობების შესაბამისად საწარმოს ან მეორე მხარეს ანგარიშსწორების ფორმის არჩევანის უფლება აქვს - საწარმო ფულადი სახსრებით (ან სხვა აქტივების გადახდით) განახორციელებს ამ ოპერაციისთვის ანგარიშსწორებას, თუ წილობრივი ინსტრუმენტების გამოშვებით, საწარმომ უნდა აღრიცხოს როგორც აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაცია, ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით, თუ საწარმოს წარმოეშვა ფულადი სახსრებით (ან სხვა აქტივებით) გადასახდელი ვალდებულება - ამ ვალდებულების მოცულობის შესაბამისად, ან როგორც აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაცია წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით, თუ საწარმოს არ დაეკისრა ამგვარი ვალდებულება - მისი მოცულობის შესაბამისად.**

### აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაცია, რომლის შეთანხმების პირობების შესაბამისად მეორე მხარეს ანგარიშსწორების ფორმის არჩევის უფლება აქვს

35. თუ საწარმომ მეორე მხარეს უფლება მიანიჭა, აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციაში აირჩიოს ფულადი სახსრებით[4], ან წილობრივი ინსტრუმენტების გამოშვებით ანგარიშსწორება, ეს იმას ნიშნავს, რომ საწარმოს გადაცემული აქვს რთული ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც მოიცავს როგორც ვალდებულების კომპონენტს (ე.ი. მეორე მხარის უფლება, მოითხოვოს ფულადი სახსრებით ანგარიშსწორება), ისე წილობრივ კომპონენტს (ე.ი. მეორე მხარის უფლება, ანგარიშსწორება მოითხოვოს წილობრივი ინსტრუმენტებით და არა ფულადი სახსრებით). დასაქმებულების გარდა სხვა მხარეებთან განხორციელებულ ოპერაციებში, რომელთათვისაც მიღებული საქონლის ან მომსახურების სამართლიანი ღირებულება პირდაპირაა შეფასებული, საწარმომ რთული ფინანსური ინსტრუმენტის წილობრივი კომპონენტი უნდა შეაფასოს, როგორც სხვაობა მიღებული საქონლის ან მომსახურების სამართლიან ღირებულებასა და ვალდე-

4. 35-43 პუნქტებში ყველა მითითება ფულზე ასევე გულისხმობს საწარმოს სხვა აქტივებს.

ბულების კომპონენტის სამართლიან ღირებულებას შორის, იმ თარიღისათვის, როდესაც საქონელს ან მომსახურებას მიიღებს.

36. სხვა ოპერაციებისთვის, მათ შორის, დასაქმებულებთან განხორციელებული ოპერაციებისთვის, საწარმომ რთული ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება უნდა შეაფასოს შეფასების თარიღისთვის, იმ ვადებისა და პირობების გათვალისწინებით, რომელთა საფუძველზეც მოხდა უფლების მინიჭება ფულად სახსრებზე ან წილობრივ ინსტრუმენტებზე.

37. 36-ე პუნქტის გამოყენებისას, საწარმომ ჯერ უნდა შეაფასოს ვალდებულების კომპონენტის სამართლიანი ღირებულება, შემდეგ კი წილობრივი კომპონენტის სამართლიანი ღირებულება, იმის გათვალისწინებით, რომ მეორე მხარეს წილობრივი ინსტრუმენტის მისაღებად უნდა ჩამოერთვას ფულადი სახსრების მიღების უფლება. რთული ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება არის ამ ორი კომპონენტის სამართლიანი ღირებულებების ჯამი. თუმცა, აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციები, რომლის თანახმადაც მეორე მხარეს ანგარიშსწორების ფორმის არჩევანის უფლება აქვს, ხშირად ისეა ფორმულირებული, რომ ანგარიშსწორების ერთი ალტერნატივის სამართლიანი ღირებულება იგივეა, რაც მეორესი. მაგალითად, მეორე მხარეს შეიძლება ჰქონდეს არჩევანის უფლება, მიიღოს აქციის ოფციონები, ან აქციის ფასის აწევაზე უფლებები, ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით. ასეთ შემთხვევაში, წილობრივი კომპონენტის სამართლიანი ღირებულება ნულია და, მაშასადამე, რთული ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ვალდებულების კომპონენტის სამართლიანი ღირებულების ტოლია. შესაბამისად, თუ ანგარიშსწორების ალტერნატივების სამართლიანი ღირებულებები განსხვავებულია, ჩვეულებრივ, წილობრივი კომპონენტის სამართლიანი ღირებულება ნულზე მეტია, რა შემთხვევაშიც რთული ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება მეტი იქნება ვალდებულების კომპონენტის სამართლიან ღირებულებაზე.

38. საწარმომ რთული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკეული კომპონენტის მიხედვით უნდა აღრიცხოს მიღებული ან შეძენილი საქონელი ან მომსახურება. ვალდებულების კომპონენტისთვის საწარმომ მიღებული საქონელი ან მომსახურება და მათ გადახდასთან დაკავშირებული ვალდებულება უნდა აღიაროს მეორე მხარის მიერ საქონლის მოწოდების ან მომსახურების გაწევის მიხედვით, ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციის მიმართ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად (30-33-ე პუნქტები). წილობრივი კომპონენტისთვის (თუ არსებობს) საწარმომ მიღებული საქონელი ან მომსახურება და საკუთარი კაპიტალის შესაბამისი ზრდა უნდა აღიაროს მეორე მხარის მიერ საქონლის მოწოდების ან მომსახურების გაწევის მიხედვით, წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციების მიმართ დადგენილი მოთხოვნების თანახმად (10-29-ე პუნქტები).

39. ანგარიშსწორების თარიღისთვის საწარმომ ხელახლა უნდა შეაფასოს ვალდებულება სამართლიანი ღირებულებით. თუ საწარმო შეთანხმების ანგარიშსწორებისთვის გამოუშვებს წილობრივ ინსტრუმენტებს და არ იხდის ფულადი სახსრებით, მან ვალდებულება პირდაპირ უნდა გადაიტანოს საკუთარ კაპიტალში, როგორც გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტების ანაზღაურება.

40. თუ საწარმო შეთანხმების ანგარიშსწორებისთვის ფულად სახსრებს იხდის წილობრივი ინსტრუმენტების გამოშვების ნაცვლად, ამგვარი გადახდა გამოიყენება ვალდებულების მთლიანად დასაფარად. ადრე აღიარებული ნებისმიერი წილობრივი კომპონენტი ისევ უნდა დარჩეს საკუთარი კაპიტალის შემადგენლობაში. თუ მეორე მხარე ანაზღაურებას ფულადი სახსრებით ირჩევს, ის წილობრივი ინსტრუმენტების მიღების უფლებას კარგავს. თუმცა, ეს მოთხოვნა საწარმოს არ უკრძალავს საკუთარი კაპიტალის ფარგლებში თანხების მოძრაობის აღიარებას, ე.ი. კაპიტალის ერთი კომპონენტის მეორეში გადატანას.

### აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაცია, რომლის შეთანხმების პირობების შესაბამისად საწარმოს ანგარიშსწორების ფორმის არჩევანის უფლება აქვს

41. აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციისთვის, რომლის შეთანხმების პირობების შესაბამისად საწარმოს ანგარიშსწორების ფორმის არჩევანის უფლება აქვს, ფულადი სახსრებით თუ წილობრივი ინსტრუმენტების გამოშვებით მოახდინოს ანგარიშსწორება, საწარმომ უნდა განსაზღვროს, აქვს თუ არა ფულადი სახსრებით გადასახდელი მიმდინარე ვალდებულება და შესაბამისად აღრიცხოს აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაცია. საწარმოს მაშინ აქვს ფულადი სახსრებით გადასახდელი მიმდინარე ვალდებულება, თუ წილობრივი ინსტრუმენტების გამოშვებით ანაზღაურების

 © IFRS Foundation

არჩევანს (გადაწყვეტილებას) კომერციული შინაარსი არა აქვს (მაგალითად, იმის გამო, რომ საწარმოს კანონმდებლობით აკრძალული აქვს აქციების გამოშვება), ან საწარმოს აქვს ფულადი სახსრებით ანაზღაურების წარსული გამოცდილება, ან დადგენილი პოლიტიკა; ან, საზოგადოდ, ფულადი სახსრებით იხდის, როდესაც კი მეორე მხარე ითხოვს ფულადი სახსრებით ანაზღაურებას.

42. თუ საწარმოს ფულადი სახსრებით გადასახდელი მიმდინარე ვალდებულება აქვს, მან ოპერაცია უნდა ასახოს 30-33-ე პუნქტების მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციების აღრიცხვას.

43. თუ ფულადი სახსრებით გადასახდელი მიმდინარე ვალდებულება არ არსებობს, საწარმომ ოპერაცია უნდა ასახოს 10-29-ე პუნქტების მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციებს. ანგარიშსწორების დროს:

ა) თუ საწარმო ფულადი სახსრებით გადახდას გადაწყვეტს, ეს ანაზღაურება უნდა აისახოს, როგორც საკუთარი კაპიტალის წილის გამოსყიდვა, ე.ი. როგორც კაპიტალიდან გამოქვითვა, იმ შემთხვევის გარდა, რომელიც აღწერილია ქვემოთ (გ) ქვეპუნქტში;

ბ) თუ საწარმო წილობრივი ინსტრუმენტების გამოშვებით ანაზღაურებას გადაწყვეტს, შემდგომი აღრიცხვა აღარ მოითხოვება (გარდა საკუთარი კაპიტალის ერთი კომპონენტის მეორეში გადანაცვლებისა, თუ აუცილებელია), იმ შემთხვევის გარდა, რომელიც აღწერილია ქვემოთ (გ) ქვეპუნქტში;

გ) თუ საწარმო უფრო მაღალი სამართლიანრი ღირებულების მქონე ანაზღაურების ალტერნატივას ირჩევს, ანგარიშსწორების თარიღისთვის მან უნდა აღიაროს დამატებითი ხარჯი გაცემულ ღირებულებაზე ნამეტი თანხის ოდენობით ე.ი. სხვაობა გადახდილ ფულად სახსრებსა და წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებას შორის, რომლებიც წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა ყოფილიყო გამოშვებული, ან სხვაობა გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებასა და ფულად თანხას შორის, რომელიც გადახდილი უნდა ყოფილიყო.

## აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციები ჯგუფის საწარმოებს შორის (2009 წლის შესწორებები)

43ა. ჯგუფის საწარმოთა შორის აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციებისთვის, საქონლის ან მომსახურების მიმღებმა საწარმომ მიღებული საქონელი ან მომსახურება ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა ასახოს როგორც აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაცია, წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით, ან აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაცია, ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით, რისთვისაც უნდა შეაფასოს:

ა) გამოყოფილი ჯილდოს ხასიათი; და

ბ) თავისი უფლებები და ვალდებულებები.

საქონლის ან მომსახურების მიმღები საწარმოს მიერ აღიარებული თანხა შეიძლება განსხვავდებოდეს კონსოლიდირებული ჯგუფის, ან ჯგუფის სხვა საწარმოს მიერ აღიარებული თანხისგან, რომელიც იხდის აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციისთვის.

43ბ. საქონლის ან მომსახურების მიმღებმა საწარმომ მიღებული საქონელი ან მომსახურება უნდა აღიაროს როგორც წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაცია, როდესაც:

ა) გადაცემული ჯილდო თვითონ საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებია; ან

ბ) საწარმოს არა აქვს აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციისთვის ანგარიშსწორების ვალდებულება.

საწარმომ წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით აქციებზე დაფუძნებული გადახდის ამგვარი ოპერაცია შემდგომში ხელახლა უნდა შეაფასოს 19-21-ე პუნქტების შესაბამისად, მხოლოდ უფლების გადაცემის არასაბაზრო პირობებში მომხდარი ცვლილებების გასათვალისწინებლად. ყველა სხვა შემთხვევაში, საწარმომ, რომელიც საქონელს ან მომსახურებას იღებს, მიღებული საქონელი ან მომსახურება უნდა შეაფასოს, როგორც აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაცია, ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით.

43გ. საწარმომ, რომელიც იხდის აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციისთვის, როდესაც ჯგუფის სხვა საწარმო იღებს საქონელს ან მომსახურებას, ეს ოპერაცია მხოლოდ მაშინ უნდა აღიაროს როგორც აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაცია, წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით, თუ ოპერაციისთვის იხდის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით. სხვა შემთხვევაში, ოპერაცია უნდა აღიარდეს, როგორც აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაცია, ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით.

43დ. ჯგუფის ზოგიერთი ოპერაცია გადახდის ისეთ სისტემას ითვალისწინებს, რომლის თანახმად ჯგუფის ერთმა საწარმომ უნდა გადაუხადოს მეორე საწარმოს იმისათვის, რომ იგი საქონლის ან მომსახურების მომწოდებლებს უხდის აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციის მეშვეობით. ასეთ შემთხვევაში, საქონლის ან მომსახურების მიმღებმა საწარმომ აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაცია უნდა ასახოს 43ბ პუნქტის შესაბამისად, შიდაჯგუფური გადახდის წესების მიუხედავად.

## განმარტებითი შენიშვნები

**44. საწარმომ ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში ისეთი ინფორმაცია უნდა გაამჟღავნოს, რომ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებმა შეძლონ აქციებზე დაფუძნებული გადახდის ისეთი ოპერაციების შინაარსისა და მოცულობის გაგება, რომლებიც პერიოდის განმავლობაში განხორციელდა.**

45. 44-ე პუნქტში აღწერილი პრინციპის რეალიზების მიზნით, საწარმომ უნდა გაამჟღავნოს, სულ მცირე, შემდეგი ინფორმაცია:

ა) აქციებზე დაფუძნებული გადახდის თითოეული ტიპის შეთანხმების აღწერილობა, რომლებიც ნებისმიერ დროს არსებობდა პერიოდის განმავლობაში, მათ შორის თითოეული შეთანხმების ზოგადი პირობები და ვადები, როგორიცაა უფლების გადაცემასთან დაკავშირებული მოთხოვნები, გამოყოფილი ოფციონების მაქსიმალური ვადა და გადახდის მეთოდი (მაგალითად, ფულადი სახსრებით ან წილობრივი ინსტრუმენტებით). საწარმოს შეუძლია არსებითად მსგავსი ტიპის აქციებზე დაფუძნებული გადახდის შეთანხმებების ინფორმაციის აგრეგირება, თუ აუცილებელი არაა თითოეული შეთანხმების შესახებ ინფორმაციის ცალკე გამჟღავნება, 44-ე პუნქტის პრინციპის დასაკმაყოფილებლად;

ბ) აქციის ოფციონების რაოდენობა და მათი აღსრულების საშუალო შეწონილი ფასები ოფციონების თითოეული შემდეგი ჯგუფისათვის:

(i) გამოუყენებელი პერიოდის დასაწყისში;

(ii) პერიოდის განმავლობაში გამოყოფილი;

(iii) პერიოდის განმავლობაში გაუქმებული;

(iv) პერიოდის განმავლობაში აღსრულებული;

(v) პერიოდის განმავლობაში ვადაგასული;

(vi) გამოუყენებელი პერიოდის ბოლოს; და

(vii) რომლებიც აღსრულებას ექვემდებარება პერიოდის ბოლოს.

გ) პერიოდის განმავლობაში აღსრულებული აქციის ოფციონებისთვის - საშუალო შეწონილი ფასი აღსრულების თარიღისთვის. თუ ოფციონების აღსრულება რეგულარულად ხდებოდა პერიოდის მანძილზე, საწარმოს ამის ნაცვლად შეუძლია გაამჟღავნოს აქციების საშუალო შეწონილი ფასი მოცემული პერიოდისთვის;

დ) აქციის ოფციონებისთვის, რომლებიც გამოყენებული არ იყო პერიოდის ბოლოს - აღსრულების ფასების დიაპაზონი და საშუალო შეწონილი დარჩენილი სახელშეკრულებო ვადა. თუ აღსრულების ფასების დიაპაზონი ფართოა, გამოუყენებელი ოფციონები ისეთ ჯგუფებად უნდა დაიყოს, რომლებიც მნიშვნელოვანია დამატებით გამოსაშვები აქციების შესაძლო რაოდენობისა და გამოშვების გრაფიკის განსაზღვრისთვის, ასევე იმ ფულადი სახსრების ოდენობის შესაფასებლად, რომლის მიღება შესაძლებელია ამ ოფციონების აღსრულებით.

 © IFRS Foundation

46. **საწარმომ ისეთი ინფორმაცია უნდა გაამჟღავნოს, რომელიც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს შესაძლებლობას მისცემს გაერკვნენ, როგორ განსაზღვრა საწარმომ პერიოდის განმავლობაში მიღებული საქონლის ან მომსახურების სამართლიანი ღირებულება, ან გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება.**

47. თუ საწარმო მიღებული საქონლის ან მომსახურების სამართლიან ღირებულებას, როგორც საწარმოს წილობრივი ინსტრუმენტების ანაზღაურებას, არაპირდაპირ აფასებს, გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების საფუძველზე, 46-ე პუნქტის პრინციპის რეალიზების მიზნით, საწარმომ უნდა გაამჟღავნოს, სულ მცირე, შემდეგი ინფორმაცია:

ა) პერიოდის განმავლობაში გამოყოფილი აქციის ოფციონებისთვის - საშუალო შეწონილი სამართლიანი ღირებულება შეფასების თარიღისთვის და ინფორმაცია იმის თაობაზე, როგორ მოხდა სამართლიანი ღირებულების შეფასება:

(i) ოფციონის შეფასებისთვის გამოყენებული მოდელი და ამ მოდელის ამოსავალი მონაცემები, მათ შორის, აქციების საშუალო შეწონილი ფასი, ოფციონის აღსრულების ფასი, მოსალოდნელი ცვალებადობა, ოფციონის ვადა, მოსალოდნელი დივიდენდები, ურისკო საპროცენტო განაკვეთი და მოდელის სხვა ამოსავალი მონაცემები, ასევე გამოყენებული მეთოდისა და ოფციონის ადრე აღსრულებით მოსალოდნელი შედეგების გასათვალისწინებლად გაკეთებული დაშვებები;

(ii) როგორ განისაზღვრა მოსალოდნელი ცვალებადობა, მათ შორის, რა დონეზე ეფუძნებოდა მოსალოდნელი ცვალებადობის განსაზღვრა წარსული პერიოდების ცვალებადობას; და

(iii) სამართლიანი ღირებულების შეფასებაში გათვალისწინებული იყო თუ არა და როგორ, ოფციონის გამოყოფის სხვა მახასიათებლები (პირობები), მაგალითად საბაზრო პირობები.

ბ) პერიოდის განმავლობაში გამოყოფილი სხვა წილობრივი ინსტრუმენტებისთვის (ე.ი. აქციის ოფციონების გარდა), ამ წილობრივი ინსტრუმენტების რაოდენობა და საშუალო შეწონილი სამართლიანი ღირებულება შეფასების თარიღისთვის და ინფორმაცია იმის თაობაზე, როგორ შეფასდა სამართლიანი ღირებულება:

(i) თუ სამართლიანი ღირებულება არ შეფასდა ემპირიული საბაზრო ფასის საფუძველზე, როგორ მოხდა მისი განსაზღვრა;

(ii) სამართლიანი ღირებულების შეფასებაში გათვალისწინებული იყო თუ არა და როგორ, მოსალოდნელი დივიდენდები; და

(iii) სამართლიანი ღირებულების შეფასებაში გათვალისწინებული იყო თუ არა და როგორ, გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტების სხვა მახასიათებლები.

გ) აქციებზე დაფუძნებული გადახდის შეთანხმებებისთვის, რომელთა მოდიფიკაცია პერიოდის განმავლობაში განხორციელდა:

(i) ამ ცვლილებების ახსნა;

(ii) გადაცემული დამატებითი სამართლიანი ღირებულება (როგორც ამ ცვლილებების შედეგი); და

(iii) ინფორმაცია გადაცემული დამატებითი სამართლიანი ღირებულების შეფასებაზე, ზემოთ მოყვანილი (ა) და (ბ) ქვეპუნქტების მოთხოვნების შესაბამისად, საჭიროებისამებრ.

48. თუ საწარმომ პირდაპირ შეაფასა პერიოდის განმავლობაში მიღებული საქონლის ან მომსახურების სამართლიანი ღირებულება, საწარმომ უნდა განმარტოს, როგორ განსაზღვრა სამართლიანი ღირებულება, მაგალითად იყო თუ არა სამართლიანი ღირებულება შეფასებული ამ საქონლის ან მომსახურების საბაზრო ფასით.

49. თუ საწარმომ უარყო მე-13 პუნქტის ვარაუდი, მან უნდა გაამჟღავნოს ეს ფაქტი და ახსნას, რატომ მოხდა ამ მოსაზრების უარყოფა.

**50. საწარმომ ისეთი ინფორმაცია უნდა გაამჟღავნოს, რომელიც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს შესაძლებლობას მისცემს, გაარკვიონ აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციების გავლენა საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.**

51. 50-ე პუნქტის პრინციპის რეალიზების მიზნით, საწარმომ უნდა გაამჟღავნოს, სულ მცირე, შემდეგი ინფორმაცია:

ა) მოცემული პერიოდის მთელი აღიარებული ხარჯი, რომელიც წარმოშობილია აქციებზე დაფუძნებული გადახდის ისეთი ოპერაციებიდან, რომლებშიც მიღებული საქონელი ან მომსახურება არ აკმაყოფილებდა აქტივებად აღიარების კრიტერიუმებს და, აქედან გამომდინარე, დაუყოვნებლივ ხარჯად იყო აღიარებული, ასევე მთლიანი ხარჯის ის ნაწილი, რომელიც წარმოიშვა იმ ოპერაციების შედეგად, რომლებიც აღრიცხულია, როგორც აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაცია, წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით;

ბ) აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები:

(i) მთლიანი საბალანსო ღირებულება პერიოდის ბოლოსათვის; და

(ii) ისეთი შეთანხმებების ვალდებულებების მთლიანი საკუთარი ღირებულება პერიოდის ბოლოსთვის, რომელთათვისაც პერიოდის ბოლოს გადაცემული იყო მეორე მხარის უფლება ფულად სახსრებზე ან სხვა აქტივებზე (მაგალითად, აქციის ფასის აწევის უფლების გადაცემა).

52. თუ 44-ე, 46-ე და 50-ე პუნქტებში ჩამოყალიბებულ პრინციპებს არ აკმაყოფილებს ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებაც წინამდებარე სტანდარტით მოითხოვება, საწარმომ უნდა გაამჟღავნოს მათ დასაკმაყოფილებლად აუცილებელი დამატებითი ინფორმაცია. მაგალითად, თუ საწარმოს აქციებზე დაფუძნებული გადახდის გარკვეული ოპერაციები 33ვ პუნქტის შესაბამისად კლასიფიცირებული აქვს, როგორც აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციები, წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით, საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია იმ თანხის შეფასების შესახებ, რომლის გადაცემასაც ვარაუდობს საგადასახადო ორგანოსთვის დასაქმებულის საგადასახადო ვალდებულების დასაფარად, თუკი აუცილებელია მომხმარებლებისთვის ინფორმაციის მიწოდება ამ თანხის გავლენის შესახებ აქციებზე დაფუძნებული გადახდის შესაბამის შეთანხმებასთან დაკავშირებულ მომავალ ფულად ნაკადებზე.

## გარდამავალი დებულებები

53. წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციებისთვის საწარმომ წინამდებარე სტანდარტი უნდა გამოიყენოს გამოყოფილ აქციებთან, აქციის ოფციონებთან ან სხვა წილობრივ ინსტრუმენტებთან მიმართებით, რომლებიც განხორციელდა 2002 წლის 7 ნოემბრის შემდეგ და მოცემული სტანდარტის ძალაში შესვლის თარიღისთვის მათზე უფლება ჯერ კიდევ არ იყო გადაცემული.

54. საწარმოს რეკომენდაცია ეძლევა, მაგრამ არ მოეთხოვება, მოცემული სტანდარტი გამოიყენოს სხვა გამოყოფილ წილობრივ ინსტრუმენტებთან მიმართებითაც, თუ საწარმომ საჯაროდ გაამჟღავნა ამ წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, რომელიც შეფასების თარიღისთვის განისაზღვრა.

55. წილობრივ ინსტრუმენტებზე მინიჭებული ყველა უფლებისთვის, რომლისთვისაც ეს სტანდარტი გამოიყენება, საწარმომ უნდა გადაიანგარიშოს შესადარისი ინფორმაცია და, აუცილებლობის შემთხვევაში, შეასწოროს ყველაზე ადრინდელი წარდგენილი პერიოდის გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთი.

56. წილობრივ ინსტრუმენტებზე მინიჭებული ყველა უფლებისთვის, რომლებისთვისაც მოცემული სტანდარტი არ გამოიყენება (მაგალითად, 2002 წლის 7 ნოემბერს ან მანამდე გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტები), საწარმომ მაინც უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია 44-ე და 45-ე პუნქტების შესაბამისად.

57. თუ წინამდებარე სტანდარტის ძალაში შესვლის შემდეგ, საწარმო ცვლის წილობრივ ინსტრუმენტებზე უფლების მინიჭების ვადებსა და პირობებს, რომლისთვისაც ეს სტანდარტი არ გამოი-

 © IFRS Foundation

ყენებოდა, საწარმომ ნებისმიერი ასეთი მოდიფიკაციის აღსარიცხავად მაინც უნდა გამოიყენოს 26-29-ე პუნქტები.

58. საწარმომ წინამდებარე სტანდარტი რეტროსპექტულად უნდა გამოიყენოს აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციებიდან წარმოშობილ ისეთ ვალდებულებებთან მიმართებით, რომლებიც ამ სტანდარტის ძალაში შესვლის თარიღისთვის არსებობდა. ამ ვალდებულებებისთვის საწარმომ უნდა გადაიანგარიშოს შესადარისი ინფორმაცია, მათ შორის, შეასწოროს ყველაზე ადრინდელი წარდგენილი პერიოდის გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთი. გარდა ამისა, საწარმოს არ მოეთხოვება სხვა შესადარისი ინფორმაციის გადაანგარიშება იმ მოცულობით, რა მოცულობითაც ინფორმაცია უკავშირდება 2002 წლის 7 ნოემბრამდე პერიოდს ან თარიღს.

59. საწარმოს რეკომენდაცია ეძლევა, მაგრამ არ მოეთხოვება ამ სტანდარტის რეტროსპექტულად გამოყენება სხვა ვალდებულებების მიმართ, რომლებიც აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციებიდან წარმოიშვა, მაგალითად ვალდებულებებისთვის, რომლებიც იმ პერიოდის განმავლობაში დაიფარა, რა პერიოდის შესადარისი ინფორმაციაც იყო წარდგენილი.

59ა. საწარმომ 30–31-ე, 33–33თ და ბ44ა–ბ44გ პუნქტებით გათვალისწინებული ცვლილებები ისე უნდა გამოიყენოს, როგორც მითითებულია ქვემოთ. არ მოითხოვება წინა პერიოდების მონაცემების გადაანგარიშება.

ა) ბ44ა–ბ44გ პუნქტებით გათვალისწინებული ცვლილებები მხოლოდ ისეთ მოდიფიკაციასთან მიმართებით, რომელიც განხორციელდა საწარმოს მიერ ზემოაღნიშნული ცვლილებების პირველად გამოყენების თარიღისთვის, ან მის შემდგომ;

ბ) 30–31-ე და 33–33დ ბ44ა–ბ44გ პუნქტებით გათვალისწინებული ცვლილებები გამოიყენება აქციებზე დაფუძნებული გადახდის ისეთ ოპერაციებთან მიმართებით, რომლებზეც უფლება გადაცემული არ იყო საწარმოს მიერ ზემოაღნიშნული ცვლილებების პირველად გამოყენების თარიღისთვის, ასევე აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციებისთვის, რომლისთვისაც უფლების მინიჭების თარიღი საწარმოს მიერ ზემოაღნიშნული ცვლილებების პირველად გამოყენების თარიღს ემთხვევა, ან ამ თარიღის შემდგომ პერიოდს მიეკუთვნება. აქციებზე დაფუძნებული გადახდის ისეთ ოპერაციებთან მიმართებით, რომლებზეც უფლება გადაცემული არ იყო საწარმოს მიერ ზემოაღნიშნული ცვლილებების პირველად გამოყენების თარიღამდე და მასზე უფლების მინიჭება ამ თარიღამდე განხორციელდა, საწარმომ მოცემული თარიღის მდგომარეობით ხელახლა უნდა შეაფასოს ვალდებულება და გადაფასების გავლენა აღიაროს გაუნაწილებელი მოგების ნაშთში (ან საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტის შემადგენლობაში, გარემოებებისდა მიხედვით) იმ საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში, როდესაც საწარმო პირველად იყენებს ამ ცვლილებებს;

გ) 33ე-33თ პუნქტებითა და 52-ე პუნქტით გათვალისწინებული ცვლილებები გამოიყენება აქციებზე დაფუძნებული გადახდის ისეთ ოპერაციებთან მიმართებით, რომლებზეც უფლება გადაცემული არ იყო (ან გადაცემული იყო, მაგრამ აღსრულებული არ იყო) საწარმოს მიერ ზემოაღნიშნული ცვლილებების პირველად გამოყენების თარიღისთვის, ასევე აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციებისთვის, რომლისთვისაც უფლების მინიჭების თარიღი საწარმოს მიერ ზემოაღნიშნული ცვლილებების პირველად გამოყენების თარიღს ემთხვევა, ან ამ თარიღის შემდგომ პერიოდს მიეკუთვნება. აქციებზე დაფუძნებული გადახდის ისეთ ოპერაციებთან (ან მათ კომპონენტებთან) მიმართებით, რომლებზეც უფლება გადაცემული არ იყო (ან გადაცემული იყო, მაგრამ აღსრულებული არ იყო) ზემოაღნიშნული თარიღისთვის და ეს ოპერაციები წინათ კლასიფიცირებული იყო, როგორც აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაცია ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით, ხოლო ამ ცვლილებების შესაბამისად ახლა კლასიფიცირდება, როგორც აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაცია წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით, საწარმომ აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციასთან დაკავშირებული ვალდებულების საბალანსო ღირებულების რეკლასიფიკაცია უნდა მოახდინოს საკუთარ კაპიტალში იმ თარიღისთვის, როდესაც პირველად გამოიყენებს ამ ცვლილებებს.

59ბ. 59ა პუნქტის მოთხოვნების მიუხედავად, საწარმოს უფლება აქვს 63დ პუნქტში მითითებული ცვლილებები რეტროსპექტულად გამოიყენოს ბასს 8-ის - „*სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები*“ - შესაბამისად, წინამდებარე სტანდარტის 53–59-ე პუნქტებში აღწერილი გარდამავალი დებულებების გათვალისწინებით, მაგრამ მხოლოდ იმ

შემთხვევაში, თუ ამის გაკეთება შესაძლებელია რეტროსპექტული ხედვის გამოყენების გარეშე. თუ საწარმო ამ ცვლილებების რეტროსპექტულად გამოყენებას გადაწყვეტს, მან იმავდროულად რეტროსპექტულად უნდა გამოიყენოს ყველა შესწორება, რომელსაც ითვალისწინებს დოკუმენტი - *„აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციების კლასიფიკაცია და შეფასება“* (ფასს 2-ის შესწორებები).

## ძალაში შესვლის თარიღი

60. საწარმომ მოცემული სტანდარტი უნდა გამოიყენოს 2005 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. რეკომენდებულია ვადამდელი გამოყენებაც. თუ საწარმო ამ სტანდარტს იყენებს 2005 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდისთვის, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.

61. ფასს 3-მა (შესწორებული 2008 წელს) და 2009 წლის აპრილში გამოცემულმა დოკუმენტმა - *„ფასს სტანდარტების გაუმჯობესება“* - გამოიწვია მე-5 პუნქტის შეცვლა. საწარმომ აღნიშნული ცვლილება უნდა გამოიყენოს 2009 წლის 1 ივლისს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო ფასს 3-ს (შესწორებული 2008 წელს) უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, ამავე პერიოდისთვის უნდა გამოიყენოს ეს ცვლილებაც.

62. საწარმომ რეტროსპექტულად უნდა გამოიყენოს შემდეგი ცვლილებები 2009 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებულ წლიურ პერიოდებში:

ა) 21(ა) პუნქტის მოთხოვნები, რომლებიც ისეთ პირობებს ეხება, რომლებიც არ წარმოადგენს უფლების გადაცემის პირობას;

ბ) „ა“ დანართში მოცემული შეცვლილი განმარტებები შემდეგი ცნებების: „უფლების გადაცემა“ და „უფლების გადაცემის პირობები“;

გ) 28-ე და 28(ა) პუნქტებში შესული ცვლილებები წილობრივი ინსტრუმენტების გამოყოფის გაუქმების შესახებ.

ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო ზემოაღნიშნულ ცვლილებებს 2009 წლის 1 იანვრამდე დაწყებული წლიური პერიოდისთვის გამოიყენებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.

63. 2009 წლის ივნისში გამოცემული დოკუმენტით - *„ჯგუფის აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციები ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით“* - განპირობებული ქვემოთ ჩამოთვლილი ცვლილებები საწარმომ უნდა გამოიყენოს რეტროსპექტულად, 53-59-ე პუნქტების გარდამავალი დებულებების გათვალისწინებით, ბასს 8-ის შესაბამისად, 2010 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის:

ა) მე-2 პუნქტში შესული ცვლილება, მე-3 პუნქტის გაუქმება, 3ა პუნქტისა და 43ა-43დ პუნქტების, ასევე „ბ“ დანართის ბ45, ბ47, ბ50, ბ54, ბ56-ბ58 და ბ60 პუნქტების დამატება ჯგუფის საწარმოებს შორის განხორციელებული ოპერაციების ბუღალტრული აღრიცხვის წესთან დაკავშირებით;

ბ) „ა“ დანართში მოცემული შემდეგი ტერმინების განმარტებები:

- აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაცია ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით;
- აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაცია წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით;
- აქციებზე დაფუძნებული გადახდის შეთანხმება; და
- აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაცია.

თუ არ არსებობს რეტროსპექტული გამოყენებისთვის აუცილებელი ინფორმაცია, საწარმომ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა ასახოს ადრე ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული თანხები. ნებადართულია ამ ცვლილებების ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო ზემოაღნიშნულ ცვლილებებს 2010 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდისთვის იყენებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.


© IFRS Foundation

63ა. 2011 წლის მაისში გამოცემულმა ფასს-10-მა - *„კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“* და ფასს 11-მა გამოიწვია მე-5 პუნქტისა და „ა“ დანართის შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები იმ საანგარიშგებო პერიოდში უნდა გამოიყენოს, როდესაც გამოიყენებს ფასს 10-სა და ფასს 11-ს.

63ბ. 2013 წლის მაისში გამოცემულმა დოკუმენტმა - *„ფასს სტანდარტების ყოველწლიური გაუმ-ჯობესება - 2010-2012 წლების ციკლი“* - გამოიწვია მე-15 და მე-19 პუნქტების შეცვლა. „ა“ დანართში შეიცვალა განმარტებები - *„უფლების გადაცემის პირობები“* და *„საბაზრო პირობა“* და დაემატა განმარტებები - *„საქმიანობის პირობა“* და *„მომსახურების პირობა“*. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები პერსპექტიულად უნდა გამოიყენოს აქციებზე დაფუძნებული გადახდის ისეთი ოპერაციებისთვის, რომელთათვისაც აქციებზე დაფუძნებულ გადახდაზე უფლების მინიჭების თარიღი არის 2014 წლის 1 ივლისი, ან შემდგომი თარიღი. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება. თუ საწარმო ზემოაღნიშნულ ცვლილებებს უფრო ადრინდელი პერი-ოდისთვის გამოიყენებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების განმა-რტებით შენიშვნებში.

63გ. 2014 წლის ივლისში გამოცემულმა ფასს 9-მ გამოიწვია მე-6 პუნქტის შეცვლა. საწარმომ ზემო-აღნიშნული ცვლილებები იმ პერიოდში უნდა გამოიყენოს, როდესაც გამოიყენებს ფასს 9-ს.

63დ. 2016 წლის ივნისში გამოცემულმა დოკუმენტმა - *„აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერა-ციების კლასიფიკაცია და შეფასება“* (ფასს 2-ის შესწორებები) - გამოიწვია მე-19, 30-31-ე, 33-ე, 52-ე და 63-ე პუნქტების შეცვლა და 33ა–33თ, 59ა–59ბ, 63დ და ბ44ა–ბ44გ პუნქტებისა და შესაბამისი სათაურების დამატება. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება. თუ საწარმო ამ ცვლილებებს უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.

63ე. 2018 წელს გამოცემულმა დოკუმენტმა - *„შესწორებები ფასს სტანდარტებში კონცეპტუალური საფუძვლების მითითებასთან დაკავშირებით“* - გამოიწვია „ა“ დანართში მოცემული წილობ-რივი ინსტრუმენტის განმარტების სქოლიოს შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილება უნდა გამოიყენოს 2020 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდე-ბისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება, თუ საწარმო იმავდროულად გამოიყენებს ყველა სხვა ცვლილებას, რომელიც განაპირობა დოკუმენტმა - *„შესწორებები ფასს სტანდარ-ტებში კონცეპტუალური საფუძვლების მითითებასთან დაკავშირებით“*. საწარმომ ფასს 2-ში შეტანილი ეს ცვლილება უნდა გამოიყენოს რეტროსპექტულად, ბასს 8-ის - *„სააღრიცხვო პოლი-ტიკა, ცვლილება სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“* - შესაბამისად, წინამდებარე სტან-დარტის 53-59-ე პუნქტებში განსაზღვრული გარდამავალი დებულებების გათვალისწინებით. თუმცა, თუ საწარმო დაადგენს, რომ შეუძლებელია, ან მიზანშეუწონელი დანახარჯები ან ძალისხმევა დასჭირდება ფასს 2-ის ამ ცვლილების რეტროსპექტულად გამოყენებას, მაშინ მან ამ ცვლილების გამოყენებისას უნდა იხელმძღვანელოს ბასს 8-ის 23-28-ე, 50-53-ე და 54ვ პუნქტებით.

## ინტერპრეტაციების გაუქმება

64. 2009 წლის ივნისში გამოცემულმა დოკუმენტმა - *„ჯგუფის აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციები ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით“* - ჩაანაცვლა ფასიკ 8 - *„ფასს 2-ის მოქმე-დების სფერო“* და ფასიკ 11 - *„ფასს 2 - ჯგუფი და ოპერაციები პორტფელში არსებულ საკუთარ აქციებზე“*. ამ დოკუმენტით განპირობებული ცვლილებები გაერთიანებული იყო ფასიკ 8-ისა და ფასიკ 11-ის ადრინდელ მოთხოვნებში, კერძოდ:

ა) შეცვლილი მე-2 პუნქტი და დამატებული 13ა პუნქტი, რომლებიც ეხება ისეთი ოპე-რაციების ბუღალტრული აღრიცხვის წესს, რომელშიც საწარმო კონკრეტულად ვერ ადგენს ზოგიერთ ან ყველა მიღებულ საქონელს ან მომსახურებას. ეს მოთხოვნები ძალაში შევიდა 2006 წლის 1 მაისს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის;

ბ) „ბ“ დანართში დამატებული პუნქტები ბ46, ბ48, ბ49, ბ51-ბ53, ბ55, ბ59 და ბ61, რომლებიც ეხება ჯგუფის საწარმოთა შორის განხორციელებული ოპერაციების აღრიცხვის წესს. ეს მოთხოვნები ძალაში შევიდა 2007 წლის 1 მარტს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.

ზემოაღნიშნული მოთხოვნების გამოყენება საწარმოებს ევალებოდათ ბასს 8-ის მოთხოვნების შესაბამისად, ფასს 2-ის გარდამავალი დებულებების გათვალისწინებით.

 © IFRS Foundation

# დანართი ა

# ტერმინების განმარტება

*ეს დანართი სტანდარტის შემადგენელი ნაწილია.*

| | |
|---|---|
| **აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაცია ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით** | **აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაცია**, რომლის თანახმად ანგარიშვალდებული საწარმო იძენს საქონელს ან მომსახურებას, ამ საქონლის ან მომსახურების მომწოდებლის მიმართ ფულადი სახსრების ან სხვა აქტივების გადაცემის ვალდებულების წარმოშობის გზით, რომლის სიდიდე განისაზღვრება ანაგრიშვალდებული საწარმოს, ან ჯგუფის სხვა საწარმოს **წილობრივი ინსტრუმენტების** (მათ შორის აქციების ან **აქციის ოფციონების**) ფასის (ან ღირებულების) საფუძველზე. |
| **დასაქმებულები და მსგავსი მომსახურების გამწევი სხვა პირები** | ფიზიკური პირები, რომლებიც საწარმოს პირად მომსახურებას უწევენ და ამასთან (ა)დასაქმებულთა კატეგორიას მიეკუთვნებიან იურიდიული ან საგადასახადო მიზნებისთვის, ან (ბ) საწარმოსთვის მუშაობენ მისი ხელმძღვანელობით ისევე, როგორც იურიდიული ან საგადასახადო მიზნებისათვის დასაქმებულებად მიჩნეული პირები, ან (გ) მათი მომსახურება დასაქმებულთა მიერ გაწეული მომსახურების მსგავსია. მაგალითად, ეს ტერმინი მოიცავს მთელ ხელმძღვანელ კადრებს, ე.ი. ვისაც აქვს დაგეგმვის, საწარმოს საქმიანობის მართვისა და კონტროლის პასუხისმგებლობა და უფლებამოსილება, არააღმასრულებელი დირექტორების ჩათვლით. |
| **წილობრივი ინსტრუმენტი** | ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ადასტურებს საწარმოს აქტივებში ყველა მისი ვალდებულების[5] გამოკლების შემდეგ დარჩენილ წილს. |
| **გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტი** | **აქციებზე დაფუძნებული გადახდის შეთანხმების ფარგლებში** საწარმოს მიერ მეორე მხარისთვის საწარმოს **წილობრივ ინსტრუმენტზე** მინიჭებული უფლება (პირობითი ან უპირობო). |
| **აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაცია წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით** | **აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაცია**, რომლის თანახმად ანგარიშვალდებული საწარმო:<br>ა) საქონელს ან მომსახურებას იღებს საკუთარი **წილობრივი ინსტრუმენტებით** (მათ შორის, აქციებისა და **აქციის ოფციონების**) ანაზღაურების სანაცვლოდ; ან<br>ბ) იღებს საქონელს ან მომსახურებას, მაგრამ ამ ოპერაციისთვის მას არ ეკისრება მომწოდებელთან ანგარიშსწორების ვალდებულება. |
| **სამართლიანი ღირებულება** | თანხა, რომლითაც აქტივი შეიძლება გაიცვალოს, ვალდებულება დაიფაროს, ან **გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტი** გაიცვალოს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის, „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით განხორციელებულ ოპერაციაში. |
| **აქციებზე დაფუძნებულ გადახდაზე უფლების მინიჭების თარიღი** | თარიღი, როდესაც ანგარიშვალდებული საწარმო და მეორე მხარე (მათ შორის, დასაქმებული) დებენ **აქციებზე დაფუძნებული გადახდის შეთანხმებას,** ანუ, როდესაც საწარმო და მეორე მხარე სახელშეკრულებო ვადებსა და პირობებზე შეთანხმდებიან. უფლების მინიჭების თარიღისთვის საწარმო მეორე მხარეს ანიჭებს საწარმოს ფულადი სახსრების, სხვა აქტივების, ან **წილობრივი ინსტრუმენტების მიღების** უფლებას იმ პირობით, თუ დაკმაყოფილდება დათქმული **უფლების გადაცემის პირობები**, თუ ასეთი არსებობს. თუ ეს შეთანხმება დამტკიცების პროცედურას ექვემდებარება (მაგალითად, აქციონერ- |

5. 2018 წელს გამოცემულ *ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებში* ვალდებულება განმარტებულია, როგორც საწარმოს ეკონომიკური რესურსების გადაცემის მიმდინარე მოვალეობა, რომელიც წარმოიშვა წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად.

თა მიერ), აქციებზე დაფუძნებულ გადახდაზე უფლების მინიჭების თარიღად მიიჩნევა დამტკიცების თარიღი.

**საკუთარი ღირებულება**

სხვაობა აქციების, რომლებზეც მეორე მხარეს (პირობითი ან უპირობო) ხელმოწერის, ან მიღების უფლება აქვს, **სამართლიან ღირებულებასა** და იმ ფასს (თუ ასეთი არსებობს) შორის, რომელიც მეორე მხარემ უნდა გადაიხადოს (ან მომავალში მოეთხოვება, რომ გადაიხადოს) ამ აქციებისათვის. მაგალითად, **აქციის ოფციონს,** რომლის აღსრულების ფასი 15 ფე-ია[6] 20 ფე **სამართლიანი ღირებულების მქონე** აქციაზე, აქვს საკუთარი ღირებულება 5 ფე.

**საბაზრო პირობა**

საქმიანობის პირობა, რომელზეც დამოკიდებულია **წილობრივი ინსტრუმენტის** აღსრულების ფასი, მასზე უფლების გადაცემა ან მისი გამოყენებადობა და დაკავშირებულია საწარმოს **წილობრივი ინსტრუმენტების** (ან იმავე ჯგუფის სხვა საწარმოს წილობრივი ინსტრუმენტების) საბაზრო ფასთან (ან ღირებულებასთან), როგორიცაა, მაგალითად:

ა) **აქციის ოფციონის საკუთარი ღირებულების** დათქმული ოდენობის, ან აქციის ფასის დათქმული სიდიდის მიღწევა; ან

ბ) გარკვეული მიზნის მიღწევა, რომელიც დაფუძნებულია საწარმოს **წილობრივი ინსტრუმენტების** (ან იმავე ჯგუფის სხვა საწარმოს წილობრივი ინსტრუმენტების) საბაზრო ფასისა (ან ღირებულების) და სხვა საწარმოთა **წილობრივი ინსტრუმენტების** საბაზრო ფასების ინდექსის თანაფარდობაზე.

საბაზრო პირობა მოითხოვს, რომ მეორე მხარე, წინასწარდადგენილი პერიოდის განმავლობაში, ემსახუროს საწარმოს (ე.ი. შეასრულოს **მომსახურების ვადის პირობა**); მომსახურების მოთხოვნა შეიძლება აშკარად იყოს გამოხატული, ან არაპირდაპირ, ნაგულისხმევი იყოს.

**საქმიანობის პირობა**

**უფლების გადაცემის პირობა**, რომელიც მოითხოვს, რომ:

ა) მეორე მხარე წინასწარდადგენილი პერიოდის განმავლობაში ემსახუროს საწარმოს (ე.ი. შეასრულოს **მომსახურების ვადის პირობა**); მომსახურების მოთხოვნა შეიძლება აშკარად იყოს გამოხატული, ან არაპირდაპირ, ნაგულისხმევი იყოს; და

ბ) მიღწეულ იქნეს საქმიანობის წინასწარდადგენილი საკონტროლო მაჩვენებელი (მაჩვენებლები), როდესაც მეორე მხარე გასწევს (ა) პუნქტით მოთხოვნილ მომსახურებას.

საქმიანობის საკონტროლო მაჩვენებლის (მაჩვენებლების) მიღწევისთვის საჭირო პერიოდი:

ა) არ უნდა აღემატებოდეს დათქმულ მომსახურების პერიოდს; და

ბ) შეიძლება იწყებოდეს მომსახურების პერიოდის დაწყებამდე, იმ პირობით, თუ საქმიანობის საკონტროლო მაჩვენებლის მისაღწევად დადგენილი პერიოდის დაწყების თარიღი წინ არ უსწრებს მომსახურების პერიოდის დაწყების თარიღს.

საქმიანობის საკონტროლო მაჩვენებელი განისაზღვრება:

ა) საწარმოს საკუთარი ოპერაციების (ან საქმიანობების), ან იმავე ჯგუფის სხვა საწარმოს ოპერაციების, ან საქმიანობების (ე.ი. არასაბაზრო პირობის) მიხედვით; ან

ბ) საწარმოს **წილობრივი ინსტრუმენტების,** ან იმავე ჯგუფის სხვა საწარმოს წილობრივი ინსტრუმენტების (მათ შორის, აქციებისა და **აქციის**

6. ამ დანართში ფულადი თანხები გამოსახულია „ფულად ერთეულებში“ (ფე).


© IFRS Foundation

**ოფციონების**) ფასზე (ან ღირებულებაზე) (ე.ი. **საბაზრო პირობაზე**) დაყრდნობით.

საქმიანობის საკონტროლო მაჩვენებელი შეიძლება დაკავშირებული იყოს მთელი საწარმოს, ან საწარმოს (ან ჯგუფის) გარკვეული ნაწილის საქმიანობის შედეგებთან, როგორიცაა, მაგალითად რომელიმე ქვედანაყოფი, ან ინდივიდუალური დასაქმებული.

**მომსახურების პირობა**

**უფლების გადაცემის პირობა**, რომელიც მეორე მხარეს ავალდებულებს, საწარმოს ემსახუროს წინასწარდადგენილი პერიოდის განმავლობაში. თუ მეორე მხარე, მიზეზის ტიპის მიუხედავად, შეწყვეტს მომსახურების გაწევას უფლების გადაცემის პერიოდის განმავლობაში, ის აღარ აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ პირობას. მომსახურების პირობა არ მოითხოვს საქმიანობის საკონტროლო მაჩვენებლის მიღწევას.

**შეფასების თარიღი**

თარიღი, რომლისთვისაც **გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება** ფასდება ამ სტანდარტის მიზნებისათვის. **დასაქმებულებთან და მსგავსი მომსახურების გამწევ სხვა პირებთან** განხორციელებული ოპერაციებისთვის შეფასების თარიღია **აქციებზე დაფუძნებულ გადახდაზე უფლების მინიჭების თარიღი**. დასაქმებულებისა და მსგავსი მომსახურების გამწევი სხვა პირების გარდა, სხვა მხარეებთან განხორციელებული ოპერაციებისთვის, შეფასების თარიღი არის ის თარიღი, როდესაც საწარმო საქონელს იღებს ან მეორე მხარე მომსახურებას გასწევს.

**ოფციონის განმეორებით გამოყოფის უფლება**

სახელშეკრულებო პირობა, რომელიც უზრუნველყოფს დამატებითი **აქციის ოფციონების** ავტომატურად გამოყოფას იმ შემთხვევაში, როდესაც ოფციონის მფლობელი ადრე გამოყოფილ ოფციონებს აღასრულებს და ოფციონის აღსრულების ფასის დასაფარად საწარმო აქციებს იყენებს და არა ფულად სახსრებს.

**განმეორებით გამოყოფილი ოფციონი**

ახალი **აქციის ოფციონი**, რომელიც მაშინ გამოიყოფა, როდესაც ადრე გამოყოფილი აქციის ოფციონის აღსრულების ფასის დაფარვა აქციებით ხდება.

**აქციებზე დაფუძნებული გადახდის შეთანხმება**

შეთანხმება ანგარიშვალდებულ საწარმოსა (ან ჯგუფის სხვა საწარმოს[7], ან ჯგუფის რომელიმე საწარმოს ნებისმიერ აქციონერსა) და მეორე მხარეს (მათ შორის, დასაქმებულებს) შორის **აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციის განხორციელებაზე,** რომელიც მეორე მხარეს უფლებას აძლევს, მიიღოს:

ა) ფულადი სახსრები ან საწარმოს სხვა აქტივები ისეთი ოდენობით, რომელიც ეფუძნება ანგარიშვალდებული საწარმოს ან ჯგუფის სხვა საწარმოს **წილობრივი ინსტრუმენტების** (მათ შორის აქციების ან **აქციის ოფციონების**) ფასს (ან ღირებულებას); ან

ბ) ანგარიშვალდებული საწარმოს ან ჯგუფის სხვა საწარმოს **წილობრივი ინსტრუმენტები** (მათ შორის აქციები ან **აქციის ოფციონები**), თუ **უფლების გადაცემის** დათქმული **პირობები** შესრულდება.

**აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაცია**

ოპერაცია, რომლის თანახმად ანგარიშვალდებული საწარმო:

ა) იღებს საქონელს ან მომსახურებას ამ საქონლის ან მომსახურების მომწოდებელთან (მათ შორის, დასაქმებულთან) დადებული აქციებზე დაფუძნებული გადახდის შეთანხმების ფარგლებში; ან

ბ) იღებს ვალდებულებას, მომწოდებელს გადაუხადოს აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციისთვის ანაზღაურება, აქციებზე დაფუძ-

7. ტერმინი „ჯგუფი“ განმარტებულია ფასს 10-ის - *„კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“* - „ა“ დანართში, როგორც „მშობელი და მისი შვილობილი საწარმოები“, ანგარიშვალდებული საწარმოს საბოლოო მშობელი საწარმოს პოზიციიდან.

ნებული გადახდის შეთანხმების ფარგლებში, როდესაც ჯგუფის სხვა საწარმო იღებს ამ საქონელს ან მომსახურებას.

| | |
|---|---|
| **აქციის ოფციონი** | ხელშეკრულება, რომელიც მფლობელს უფლებას აძლევს, მაგრამ არ ავალდებულებს, წინასწარგანსაზღვრულ პერიოდში გახდეს საწარმოს აქციების ხელმომწერი, აქციის ფიქსირებული ან განსაზღვრადი ფასის პირობებში. |
| **უფლების გადაცემა** | უფლებამოსილად გახდომა. **აქციებზე დაფუძნებული გადახდის შეთანხმებით განსაზღვრული** მეორე მხარის უფლება საწარმოს ფულადი სახსრების, სხვა აქტივების ან **წილობრივი ინსტრუმენტების მიღებაზე** მეორე მხარეს მაშინ გადაეცემა, როდესაც მეორე მხარის უფლებამოსილება უკვე აღარ არის შეპირობებული **უფლების გადაცემის** რომელიმე პირობის შესრულებით. |
| **უფლების გადაცემის პირობა** | პირობა, რომლებიც განსაზღვრავს, მიიღებს თუ არა საწარმო იმ მომსახურებას, რომელიც მეორე მხარეს უფლებამოსილს ხდის საწარმოს ფულადი სახსრების, სხვა აქტივების ან **წილობრივი ინსტრუმენტების** მიღებაზე **აქციებზე დაფუძნებული გადახდის შეთანხმების** ფარგლებში. უფლების გადაცემის პირობა ან მომსახურების ვადის პირობაა, ან საქმიანობის პირობა. |
| **უფლების გადაცემის პერიოდი** | პერიოდი, რომლის განმავლობაშიც უნდა დაკმაყოფილდეს **აქციებზე დაფუძნებული გადახდის შეთანხმებით** განსაზღვრული, **უფლების გადაცემის** ყველა **პირობა**. |

 © IFRS Foundation

# დანართი ბ
# მითითებები გამოყენებაზე

*ეს დანართი სტანდარტის განუყოფელი ნაწილია.*

## გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შეფასება

ბ1. ამ დანართის ბ2–ბ41 პუნქტებში განხილულია გადაცემული აქციებისა და აქციის ოფციონების სამართლიანი ღირებულების შეფასება, იმ განსაკუთრებულ ვადებსა და პირობებზე ყურადღების გამახვილებით, რომლებიც დასაქმებულებისთვის აქციების ან აქციის ოფციონების გადაცემის ზოგად მახასიათებლებს წარმოადგენს. ამის გამო, საკითხები ამომწურავი არ არის. გარდა ამისა, ვინაიდან ქვემოთ განხილული შეფასების საკითხები დასაქმებულებისთვის გადაცემულ აქციებსა და აქციის ოფციონებზე ამახვილებს ყურადღებას, ნაგულისხმევია, რომ აქციების ან აქციის ოფციონების სამართლიანი ღირებულება აქციებზე დაფუძნებულ გადახდაზე უფლების მინიჭების თარიღისთვისაა შეფასებული. თუმცა, ქვემოთ განხილული შეფასების საკითხებიდან მრავალი (მაგალითად, მოსალოდნელი ცვალებადობის განსაზღვრა) ასევე გამოიყენება დასაქმებულთა გარდა სხვა მხარეებისთვის გამოყოფილი აქციების ან აქციის ოფციონების სამართლიანი ღირებულების გამოთვლის კონტექსტშიც, იმ თარიღისთვის, როდესაც საწარმო საქონელს იღებს ან მეორე მხარე მომსახურებას გასწევს.

### აქციები

ბ2. დასაქმებულებისთვის გამოყოფილი აქციებისთვის, აქციების სამართლიანი ღირებულება უნდა შეფასდეს საწარმოს აქციების საბაზრო ფასით (ან გამოთვლილი საბაზრო ფასით, თუ საწარმოს აქციები საჯაროდ არ იყიდება), რომელიც კორექტირებულია აქციების გამოყოფის ვადებისა და პირობების გათვალისწინებით (გარდა უფლების გადაცემის პირობებისა, რომლებიც გამოირიცხება სამართლიანი ღირებულების შეფასებიდან 19-21-ე პუნქტების თანახმად).

ბ3. მაგალითად, თუ დასაქმებულს უფლება არა აქვს, დივიდენდები მიიღოს უფლების გადაცემის პერიოდის განმავლობაში, ეს ფაქტორი გათვალისწინებული უნდა იყოს გამოყოფილი აქციების სამართლიანი ღირებულების გამოთვლისას. ანალოგიურად, თუ აქციები გადაცემის შეზღუდვებს ექვემდებარება უფლების გადაცემის თარიღის შემდეგ, ეს ფაქტორი მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, მაგრამ მხოლოდ იმ ზომით, რა ზომითაც უფლების გადაცემის შემდგომი შეზღუდვები გავლენას ახდენს ფასზე, რომელსაც საქმის მცოდნე და გარიგების მსურველი ბაზრის მონაწილეები გადაიხდიდნენ ამ აქციისთვის. მაგალითად, თუ აქციები აქტიურად იყიდება განვითარებულ და ლიკვიდურ ბაზარზე, უფლების გადაცემის შემდგომმა შეზღუდვებმა, თუ ასეთი არსებობს, შესაძლოა მცირე გავლენა მოახდინოს ფასზე, რომელსაც საქმის მცოდნე და გარიგების მსურველი ბაზრის მონაწილეები გადაიხდიდნენ ამ აქციისთვის. გადაცემის შეზღუდვები ან სხვა შეზღუდვები, რომლებიც უფლების გადაცემის პერიოდის განმავლობაში არსებობს, არ უნდა გაითვალისწინოს საწარმომ გამოყოფილი აქციების სამართლიანი ღირებულების გამოთვლისას აქციებზე დაფუძნებულ გადახდაზე უფლების მინიჭების თარიღისთვის, იმის გამო, რომ ეს შეზღუდვები გამომდინარეობს უფლების გადაცემის პირობების არსებობიდან, რომლებიც აღირიცხება 19-21-ე პუნქტების თანახმად.

### აქციის ოფციონები

ბ4. დასაქმებულებისთვის გამოყოფილი აქციის ოფციონებისთვის ხშირად საბაზრო ფასები დაუდგენელია, ვინაიდან გადაცემული ოფციონები ისეთ ვადებსა და პირობებს ექვემდებარება, რომლებიც არ გამოიყენება ოფციონებისთვის, რომლებიც მიმოიქცევა ბაზარზე. თუ მსგავსი ვადებისა და პირობების სავაჭრო ოფციონები არ არსებობს, გამოყოფილი ოფციონების სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ოფციონების შეფასების მოდელის გამოყენებით უნდა მოხდეს.

ბ5. საწარმომ უნდა გაითვალისწინოს ის ფაქტორები, რომლებსაც საქმის მცოდნე და გარიგების მსურველი ბაზრის მონაწილეები მხედველობაში მიიღებდნენ ოფციონების შეფასების მოდელის გამოყენების შერჩევისას. მაგალითად, დასაქმებულთა ბევრ ოფციონს, ჩვეულებრივ, ხანგრძლივი ვადა აქვს, აღსრულებას ექვემდებარება უფლების გადაცემის თარიღსა და ოფციონე-

ზის ვადის დასასრულამდე პერიოდის განმავლობაში და ხშირად ვადაზე ადრე ხდება მათი აღსრულება. ეს ფაქტორები მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ოფციონების სამართლიანი ღირებულების გამოთვლისას აქციებზე დაფუძნებულ გადახდაზე უფლების მინიჭების თარიღისთვის. ბევრი საწარმოსთვის ეს შეიძლება ხელისშემშლელი იყოს ბლექ-შოლზ-მერტონის ფორმულის გამოსაყენებლად, რომელიც არ უშვებს ოფციონის აღსრულების შესაძლებლობას მისი ვადის დასასრულის დადგომამდე და შესაძლოა არაადეკვატურად ასახავდეს ოფციონის ვადაზე ადრე აღსრულების შედეგებს. იგი ასევე არ უშვებს მოსალოდნელი ცვალებადობისა და მოდელის სხვა მონაცემების ცვლილებების შესაძლებლობას ოფციონის სახელშეკრულებო ვადის განმავლობაში. თუმცა, შედარებით ხანმოკლე სახელშეკრულებო ვადის მქონე აქციის ოფციონებისთვის, ან ისეთებისთვის, რომლებიც მოკლე პერიოდის განმავლობაში უნდა აღსრულდეს უფლების გადაცემის თარიღის შემდეგ, ზემოაღნიშნული ფაქტორები შეიძლება შესაფერისი არ იყოს. ასეთ შემთხვევებში, ბლექ-შოლზ-მერტონის ფორმულამ შეიძლება მოგვცეს არსებითად იგივე ღირებულება, რომელიც მიიღება ოფციონების შეფასების სხვა უფრო მოქნილი მოდელების გამოყენებით.

ბ6. ოფციონების შეფასების ყველა მოდელი ითვალისწინებს, სულ მცირე, შემდეგ ფაქტორებს:

ა) ოფციონის აღსრულების ფასს;

ბ) ოფციონის ვადას;

გ) ქვემდებარე აქციების მიმდინარე ფასს;

დ) აქციების ფასის მოსალოდნელ ცვალებადობას;

ე) აქციებზე მოსალოდნელ დივიდენდებს (თუ მართებულია); და

ვ) ურისკო საპროცენტო განაკვეთს ოფციონის ვადისთვის.

ბ7. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ასევე სხვა ფაქტორები, რომლებსაც საქმის მცოდნე და გარიგების მსურველი ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებდნენ ფასის დადგენისას (გარდა უფლების გადაცემის პირობებისა და ოფციონების განმეორებით გამოყოფის პირობებისა, რომლებიც გამოირიცხება სამართლიანი ღირებულების შეფასებიდან, 19-22-ე პუნქტების თანახმად).

ბ8. მაგალითად, დასაქმებულებისთვის გამოყოფილი აქციის ოფციონების აღსრულება, ჩვეულებრივ, არ შეიძლება განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში (მაგალითად, უფლების გადაცემის პერიოდის განმავლობაში, ან ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელი ორგანოს მიერ განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში). ეს ფაქტორი გათვალისწინებულ უნდა იქნეს, თუ ოფციონების შეფასების გამოყენებული მოდელი სხვაგვარად არ გულისხმობს, რომ ოფციონი შეიძლება აღსრულდეს ნებისმიერ დროს, მისი ვადის განმავლობაში. თუმცა, თუ საწარმო იყენებს ოფციონის შეფასების მოდელს, რომელიც ისეთ ოფციონებს აფასებს, რომელთა აღსრულება მხოლოდ ოფციონის ვადის დასრულებისას შეიძლება, არავითარი კორექტირება არ მოითხოვება იმის გამო, რომ შეუძლებელია მათი აღსრულება უფლების გადაცემის პერიოდის განმავლობაში (ან სხვა პერიოდებში, ოფციონების ვადის განმავლობაში), ვინაიდან მოდელი გულისხმობს, რომ ოფციონები არ აღსრულდება ამ პერიოდებში.

ბ9. ანალოგიურად, დასაქმებულთა აქციის ოფციონებისთვის დამახასიათებელი სხვა საერთო ხასიათის ფაქტორი არის ოფციონების ადრე აღსრულების შესაძლებლობა, მაგალითად, იმის გამო, რომ ოფციონები არ არის თავისუფლად გადაცემადი, ან იმის გამო, რომ დასაქმებულმა შრომითი ურთიერთობის შეწყვეტამდე უნდა აღასრულოს ყველა ოფციონი, რომელზეც უფლება გადაეცა. აქციის ოფციონის ადრე აღსრულების მოსალოდნელი შედეგები მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, როგორც ბ16-ბ21 პუნქტებშია განხილული.

ბ10. ფაქტორები, რომლებსაც საქმის მცოდნე და გარიგების მსურველი ბაზრის მონაწილეები არ გაითვალისწინებდნენ აქციის ოფციონების (ან სხვა წილობრივი ინსტრუმენტების) ფასის დადგენისას, საწარმომ არ უნდა გაითვალისწინოს გამოყოფილი აქციის ოფციონების (ან სხვა წილობრივი ინსტრუმენტების) სამართლიანი ღირებულების გამოთვლისას. მაგალითად, დასაქმებულებისთვის გამოყოფილი აქციის ოფციონებისთვის, ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს ოფციონის ღირებულებაზე მხოლოდ ინდივიდუალური დასაქმებულის პერსპექტივიდან, არ

 © IFRS Foundation

გამოდგება იმ ფასის გამოსათვლელად, რომელსაც საქმის მცოდნე და გარიგების მსურველი ბაზრის მონაწილეები დაადგენდნენ.

### ოფციონების შეფასების მოდელების ამოსავალი მონაცემები

ბ11. ქვემდებარე აქციების მოსალოდნელი ცვალებადობისა და დივიდენდების გამოთვლისას მიზანი მოლოდინთან მიახლოებაა, რომელიც აისახება მიმდინარე ბაზარზე ან ოფციონების სახელშეკრულებო გასაცვლელ ფასზე. ანალოგიურად, დასაქმებულთა აქციის ოფციონების ადრე აღსრულების შედეგების გამოთვლისას, მიზანია მოლოდინთან მიახლოება, რომელსაც დასაქმებულთა მიერ ოფციონების აღსრულების ქცევის შესახებ დეტალური ინფორმაციის მქონე გარეშე მხარე შეიმუშავებს, აქციებზე დაფუძნებულ გადახდაზე უფლების მინიჭების თარიღისთვის არსებული ინფორმაციის საფუძველზე.

ბ12. ხშირად მოსალოდნელია, რომ იარსებებს დასაბუთებული მოლოდინების (მოსალოდნელი შედეგების) დიაპაზონი მომავალი ცვალებადობის, დივიდენდებისა და ოფციონების აღსრულების ქცევის შესახებ. თუ ასეა, მოსალოდნელი მნიშვნელობა გამოთვლილ უნდა იქნეს ყოველი თანხის ხვედრითი წილით ამ დიაპაზონში, მასთან დაკავშირებული ხდომილობის ალბათობით.

ბ13. მოსალოდნელი მონაცემების გამოთვლა, საზოგადოდ, გამოცდილებას ემყარება, მაგრამ იცვლება, თუ გონივრულობის ფარგლებში სავარაუდოა, რომ მომავალი წარსულისაგან განსხვავებული იქნება. ზოგიერთ შემთხვევაში, გარკვეულმა ფაქტორებმა შეიძლება მიგვანიშნოს, რომ შესწორებების გარეშე წარსული გამოცდილება მომავალი გამოცდილების შედარებით ცუდი პროგნოზია. მაგალითად, თუ საწარმო თავისი საქმიანობის ორი სრულიად განსხვავებული სახეობიდან გაასხვისებს ერთ-ერთს, რომელიც ნაკლებად რისკიანია მეორეზე, წარსული ცვალებადობა შეიძლება არ წარმოადგენდეს საუკეთესო ინფორმაციას, რომელიც სამომავლო მონაცემების (მოლოდინის) საფუძვლად გამოდგება.

ბ14. სხვა შემთხვევებში, წარსული ინფორმაცია შეიძლება ხელმისაწვდომი არ იყოს. მაგალითად, საფონდო ბირჟაზე ახლად კოტირებულ საწარმოს ცოტა, ან საერთოდ არ ექნება წარსული მონაცემები თავისი აქციების ფასების ცვალებადობის შესახებ. არაკოტირებული და ახლად კოტირებული საწარმოები ქვემოთ კიდევ იქნება განხილული.

ბ15. საბოლოო ჯამში, საწარმოს გამოთვლები ცვალებადობასთან, აღსრულების ქცევის მოდელთან და დივიდენდებთან დაკავშირებით არ უნდა ეყრდნობოდეს მარტო წარსულ ინფორმაციას იმის გაუთვალისწინებლად, თუ რამდენად არის შესაძლებელი, რომ წარსული გამოცდილება მომავალი გამოცდილების საპროგნოზოდ გამოდგეს.

### მოსალოდნელი ადრე აღსრულება

ბ16. დასაქმებულები ხშირად ადრე აღასრულებენ ოფციონებს სხვადასხვა მიზეზის გამო. მაგალითად, დასაქმებულთა ოფციონები ტიპურად არ ექვემდებარება გადაცემას. ეს ხშირად იწვევს დასაქმებულთა მიერ ოფციონების ადრე აღსრულებას, ვინაიდან ეს თანამდებობის გაუქმების ერთადერთი გზაა დასაქმებულებისათვის. ასევე, დასაქმებულებს, რომლებიც წყვეტენ მუშაობას, ჩვეულებრივ, მათ უფლებამოსილებაში გადაცემული ოფციონების აღსრულება ხანმოკლე დროში მოეთხოვებათ, სხვაგვარად აქციის ოფციონები გაუქმდება. ეს ფაქტორი ასევე იწვევს დასაქმებულთა აქციის ოფციონების ადრე აღსრულებას, სხვა ფაქტორები, რომლებიც ადრე აღსრულებას იწვევს, არის რისკის შიში და კეთილდღეობის გამრავალფეროვნების ნაკლებობა.

ბ17. ის ხერხები, რომელთა საფუძველზეც აღირიცხება მოსალოდნელი ადრე აღსრულების შედეგები, დამოკიდებულია ოფციონის შეფასების გამოყენებული მოდელის ტიპზე. მაგალითად, მოსალოდნელი ადრე აღსრულება შეიძლება აღირიცხოს ოფციონის ვადის გამოთვლის გამოყენებით (რომელიც დასაქმებულთა აქციის ოფციონებისთვის წარმოადგენს დროის მონაკვეთს, აქციებზე დაფუძნებულ გადახდაზე უფლების მინიჭების თარიღიდან ოფციონის მოსალოდნელი აღსრულების თარიღამდე), როგორც ოფციონის შეფასების მოდელის ამოსავალი მონაცემი (მაგალითად, ბლექ-შოლზ-მერტონის ფორმულა). ალტერნატიულად, მოსალოდნელი ადრე აღსრულების მოდელირება შესაძლებელია ოფციონის შეფასების ბინომიალურ ან მსგავს მოდელში, რომელიც ამოსავალ მონაცემად ოფციონის სახელშეკრულებო ვადას იყენებს.

ბ18. ადრე აღსრულების გამოთვლებში გასათვალისწინებელი ფაქტორებია:

ა) უფლების გადაცემის პერიოდის ხანგრძლივობა, ვინაიდან აქციის ოფციონის აღსრულება, ჩვეულებრივ, არ შეიძლება უფლების გადაცემის პერიოდის დასასრულამდე. აქედან გამომდინარე, მოსალოდნელი ადრე აღსრულება შეფასების მნიშვნელობის განსაზღვრა ეყრდნობა დაშვებას, რომ განხორციელდება ოფციონზე უფლების გადაცემა. უფლების გადაცემის პირობების მნიშვნელობა განხილულია 19-21-ე პუნქტებში;

ბ) დროის საშუალო ხანგრძლივობა წარსულში გადასახდელი დარჩენილი მსგავსი ოფციონებისთვის;

გ) ქვემდებარე აქციების ფასები. გამოცდილებამ შეიძლება აჩვენოს, რომ დასაქმებულები ოფციონების აღსრულებას მაშინ გადაწყვეტენ, როდესაც აქციების ფასები მიაღწევს განსაზღვრულ დონეს, აღსრულების ფასზე მაღლა;

დ) დასაქმებულის თანამდებობრივი რანგი საწარმოს შიგნით. მაგალითად, გამოცდილებამ შეიძლება აჩვენოს, რომ მაღალი რანგის დასაქმებულებს ახასიათებთ ოფციონების აღსრულების ტენდენცია, დაბალი რანგის დასაქმებულებზე უფრო გვიან (განხილულია შემდგომში ბ21 პუნქტში);

ე) ქვემდებარე აქციების მოსალოდნელი ცვალებადობა. საშუალოდ, დასაქმებულებმა მაღალი ცვალებადობის მქონე აქციებისთვის შეიძლება ოფციონების აღსრულება უფრო ადრე ამჯობინონ, ვიდრე დაბალი ცვალებადობის მქონე აქციების შემთხვევაში.

ბ19. როგორც ბ17 პუნქტშია აღნიშნული, ადრე აღსრულების შედეგების გათვალისწინება შესაძლებელია ოფციონის ვადის გამოთვლითა და მისი გამოყენებით ოფციონის შეფასების მოდელის ამოსავალ მონაცემად. დასაქმებულთა ჯგუფისთვის გამოყოფილი აქციის ოფციონების მოსალოდნელი ვადის გამოთვლისას, საწარმომ ამ გამოთვლის საფუძვლად შეიძლება გამოიყენოს საშუალო შეწონილი ვადა დასაქმებულთა მთელი ჯგუფისათვის, ან, შესაბამისად, საშუალო შეწონილი ვადები დასაქმებულთა ქვეჯგუფებისათვის ჯგუფის ფარგლებში, დასაქმებულთა მიერ ოფციონების აღსრულების ქცევის უფრო დეტალურ მონაცემებზე დაყრდნობით (განხილულია ქვემოთ).

ბ20. ოფციონზე უფლების მინიჭების განცალკევება დასაქმებულთა ჯგუფის ფარგლებში მნიშვნელოვანია აღსრულების შედარებით ერთგვაროვანი ქცევის მოდელის მიხედვით. ოფციონის ღირებულება არ წარმოადგენს ოფციონის ვადის წრფივ ფუნქციას; ღირებულება იმატებს კლებადი პროპორციით ვადის განმავლობაში. მაგალითად, თუ ყველა სხვა დაშვება თანაბარია, მიუხედავად იმისა, რომ ორწლიანი ოფციონი უფრო ღირებულია, ვიდრე ერთწლიანი, ორჯერ მეტი მაინც არ ღირს. ეს ნიშნავს, რომ ოფციონის ღირებულების შეფასება მხოლოდ საშუალო შეწონილი ვადის საფუძველზე, რომელიც მოიცავს განსხვავებების ფართო დიაპაზონს ინდივიდუალური ვადებისთვის, გადაამეტებს გამოყოფილი აქციის ოფციონების მთლიან სამართლიან ღირებულებას. გამოყოფილი ოფციონების განცალკევება რამდენიმე ჯგუფად, რომელთაგან თითოეულს ვადების შედარებით ვიწრო დიაპაზონი აქვს, ამცირებს ამგვარ მეტობას.

ბ21. მსგავს მოსაზრებებს მიმართავენ, როდესაც ბინომიალურ ან მსგავს მოდელს იყენებენ. მაგალითად, საწარმოს გამოცდილება, რომელიც ოფციონებს ფართოდ გადასცემს ყველა დონის დასაქმებულს, შეიძლება გვიჩვენებდეს, რომ მაღალი რანგის ადმინისტრაცია არჩევს უფრო დიდხანს შეინარჩუნოს თავიანთი ოფციონები, ვიდრე საშუალო რანგის მმართველები, ხოლო დაბალი რანგის დასაქმებულებისთვის კი უფრო დამახასიათებელია ოფციონების სხვა ჯგუფებზე ადრე აღსრულება. გარდა ამისა, დასაქმებულები, რომლებიც წახალისებულნი არიან ან მოეთხოვებათ თავიანთი დამსაქმებლის წილობრივი ინსტრუმენტების, მათ შორის ოფციონების მინიმალური რაოდენობის შენარჩუნება, შეიძლება საშუალოდ უფრო გვიან აღასრულებდნენ ოფციონებს, ვიდრე ის დასაქმებულები, რომლებიც ამ დებულებას არ ექვემდებარებიან. ასეთ შემთხვევებში, ოფციონების განცალკევება მიმღებთა ჯგუფებად აღსრულების შედარებით ერთგვაროვანი ქცევის მოდელით, გადაცემული აქციის ოფციონების მთლიანი სამართლიანი ღირებულების უფრო ზუსტ შეფასებას იძლევა.

**მოსალოდნელი ცვალებადობა**

ბ22. მოსალოდნელი ცვალებადობა იმ თანხის საზომია, რომლითაც მოსალოდნელია ფასის შეცვლა პერიოდის განმავლობაში. ოფციონის შეფასების მოდელებში გამოყენებული ცვალებადობის საზომი წარმოადგენს აქციებზე უკუგების უწყვეტად ცვალებადი ნაერთი განაკვეთების წლიურ

 © IFRS Foundation

სტანდარტულ გადახრას პერიოდის განმავლობაში. ცვალებადობა, ჩვეულებრივ, წლიური საზომებით გამოიხატება, რომლებიც შესადარისია გამოთვლებში გამოყენებული პერიოდის მიუხედავად, მაგალითად ფასის ყოველდღიური, ყოველკვირეული თუ ყოველთვიური დაკვირვებისას.

ბ23. ამა თუ იმ პერიოდისთვის გამოთვლილი აქციის უკუგების განაკვეთი (რომელიც შეიძლება დადებითი ან უარყოფითი იყოს) აფასებს, რამდენი სარგებელი მიიღო აქციონერმა დივიდენდებით და აქციების ფასის აწევით (ან დაწევით).

ბ24. აქციის მოსალოდნელი წლიური ცვალებადობა წარმოადგენს დიაპაზონს, რომელშიც მოსალოდნელია, რომ აქციებზე უკუგების უწყვეტად ცვალებადი ნაერთი განაკვეთები დაახლოებით დროის 2/3-ის განმავლობაში დაეცემა. მაგალითად, ვთქვათ, აქციას, რომელსაც მოსალოდნელი უკუგების უწყვეტად ცვალებადი ნაერთი განაკვეთი 12% აქვს, ხოლო 30%-იანი ცვალებადობა, ეს ნიშნავს, რომ ალბათობა იმისა, რომ ერთი წლის განმავლობაში უკუგების განაკვეთი აქციაზე იქნება 18%-სა (12% - 30%) და 42%-ს (12% + 30%) შორის, დაახლოებით ორი მესამედია. თუ აქციის ფასი 100 ფე-ია წლის დასაწყისში და დივიდენდები არ გადაიხდება, წლის ბოლოს აქციის ფასი მოსალოდნელია, რომ 83.53 ფე-სა (100 ფე × $e^{-0.18}$) და 152.20 ფე-ს (100 ფე × $e^{0.42}$) შორის დროის დაახლოებით 2/3-ის განმავლობაში იყოს.

ბ25. მოსალოდნელი ცვალებადობის შეფასებაში გასათვალისწინებელი ფაქტორები მოიცავს:

ა) თანმდევ ცვალებადობას სავაჭრო (ბაზარზე მიმოქცვადი) აქციის ოფციონებიდან საწარმოების აქციებზე, ან საწარმოს სხვა სავაჭრო ინსტრუმენტებზე, რომლებიც მოიცავს ოფციონების მახასიათებლებს (როგორიცაა კონვერტირებადი ვალი), თუ ასეთი არსებობს;

ბ) აქციის ფასის წარსულ ცვალებადობას ყველაზე ბოლო პერიოდის განმავლობაში, რომელიც ზოგადად თავსებადია ოფციონის მოსალოდნელ ვადასთან (ოფციონის დარჩენილი სახელშეკრულებო ვადისა და მოსალოდნელი ადრე აღსრულების შედეგების გათვალისწინებით);

გ) საწარმოს აქციების საჯარო ვაჭრობის დროის ხანგრძლივობას. ახლად კოტირებულ საწარმოს შეიძლება დიდი წარსული ცვალებადობა ჰქონდეს, იმ მსგავს საწარმოებთან შედარებით, რომლებიც უფრო დიდი ხანის კოტირებული არიან. დამატებითი მითითებები ახლად კოტირებული საწარმოებისთვის ქვემოთაა მოცემული;

დ) ცვალებადობის მიდრეკილებას, დაუბრუნდეს თავის საშუალო მნიშვნელობას, ე.ი. მის გრძელვადიან საშუალო დონეს და სხვა ფაქტორებს, რომლებიც მიუთითებს, რომ მოსალოდნელი მომავალი ცვალებადობა შესაძლოა განსხვავდებოდეს წარსული ცვალებადობისაგან. მაგალითად, თუ საწარმოს აქციის ფასი უჩვეულოდ ცვალებადი იყო ზოგიერთი განსაზღვრული პერიოდისთვის, საწარმოთა წარუმატებელი შერწყმის ან ძირითადი რესტრუქტურიზაციის გამო, საწარმომ ეს პერიოდი არ უნდა გაითვალისწინოს წარსული წლიური ცვალებადობის გამოთვლისას;

ე) სათანადო და რეგულარულ ინტერვალებს ფასზე დაკვირვებისთვის. ფასზე დაკვირვება თავსებადი უნდა იყოს პერიოდიდან პერიოდამდე. მაგალითად, საწარმო შეიძლება იყენებდეს ყოველი კვირის საბოლოო ფასს ან კვირის უმაღლეს ფასს, მაგრამ არ უნდა გამოიყენოს ზოგიერთი კვირის საბოლოო ფასი და სხვა კვირების - უმაღლესი ფასი. ასევე, ფასზე დაკვირვებები იმავე ვალუტაში უნდა გამოისახოს, რომელშიც გამოსახულია აღსრულების ფასი.

*ახლად კოტირებული საწარმოები*

ბ26. როგორც ბ25 პუნქტშია აღნიშნული, საწარმომ უნდა გაითვალისწინოს აქციის ფასის წარსული ცვალებადობა ყველაზე ბოლო პერიოდის განმავლობაში, რომელიც, ზოგადად, თავსებადია ოფციონის მოსალოდნელ ვადასთან. თუ ახლად კოტირებულ საწარმოს არ გააჩნია წარსული ცვალებადობის შესახებ საკმარისი ინფორმაცია, მან მაინც უნდა გამოთვალოს წარსული ცვალებადობა ხანგრძლივი პერიოდისათვის, რომლისთვისაც სავაჭრო საქმიანობა შესაძლებელია. მან ასევე უნდა გაითვალისწინოს მსგავსი საწარმოების წარსული ცვალებადობა მათი არსებობის შესადარისი პერიოდის მიყოლებით. მაგალითად, საწარმო, რომელიც მხოლოდ ერთი წელია კოტირებული და ოფციონებს გადასცემს საშუალო ვადით ხუთი წლით, შეიძლება ითვალისწინებ-

დეს იმავე სფეროს საწარმოთა წარსული ცვალებადობის მოდელს და დონეს პირველი ექვსი წლისათვის, როდესაც ამ საწარმოთა აქციები საჯაროდ იყიდებოდა.

*არაკოტირებული საწარმოები*

ბ27. არაკოტირებულ საწარმოებს მოსალოდნელი ცვალებადობის გამოთვლისას წარსული ინფორმაცია არ ექნებათ გასათვალისწინებლად. მათ ნაცვლად გასათვალისწინებელი სხვა ფაქტორები ქვემოთაა განხილული.

ბ28. ზოგიერთ შემთხვევაში, არაკოტირებულ საწარმოებს, რომლებიც დასაქმებულებს (ან სხვა მხარეებს) რეგულარულად გადასცემენ აქციის ოფციონებს ან აქციებს, შეიძლება შიდა ბაზარი ჩამოაყალიბონ თავიანთი აქციებისათვის. ამ აქციათა ფასების ცვალებადობა შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მოსალოდნელი ცვალებადობის შეფასებისას.

ბ29. ალტერნატიულად, საწარმომ შეიძლება გაითვალისწინოს წარსული ან ნაგულისხმევი ცვალებადობა ჩამონათვალში მყოფი მსგავსი საწარმოებისა, რომლისთვისაც აქციის ფასზე ან ოფციონის ფასზე ინფორმაცია ხელმისაწვდომია მოსალოდნელი ცვალებადობის გამოთვლებში გამოსაყენებლად. ეს მისაღებია მაშინ, როდესაც საწარმო მსგავსი კოტირებული საწარმოების აქციათა ფასებზე დაყრდნობით ადგენს თავისი აქციების ღირებულებას.

ბ30. თუ საწარმო მსგავსი კოტირებული საწარმოების აქციათა ფასებზე დაყრდნობით არ ადგენს თავისი აქციების ღირებულებას და ნაცვლად ამისა, თავისი აქციების შესაფასებლად სხვა მეთოდოლოგიას იყენებს, საწარმოს შეუძლია მოსალოდნელი ცვალებადობის შეფასება მიიღოს შეფასების ამ მეთოდოლოგიის შესატყვისად. მაგალითად, საწარმომ შეიძლება თავისი აქციები შეაფასოს წმინდა აქტივების ან მოგების საფუძველზე. მას შეუძლია გაითვალისწინოს წმინდა აქტივების ღირებულების ან მოგების მოსალოდნელი ცვალებადობა.

**მოსალოდნელი დივიდენდები**

ბ31. გათვალისწინებულ უნდა იქნეს თუ არა მოსალოდნელი დივიდენდები გამოყოფილი აქციების ან ოფციონების სამართლიანი ღირებულების გამოთვლისას, დამოკიდებულია იმაზე, არის თუ არა მეორე მხარე უფლებამოსილი ამ დივიდენდებზე ან დივიდენდის ეკვივალენტებზე.

ბ32. მაგალითად, თუ დასაქმებულებს გადასცეს ოფციონები და ისინი უფლებამოსილნი არიან ქვემდებარე აქციების დივიდენდებზე ან დივიდენდის ეკვივალენტებზე (რომლებიც შეიძლება ფულადი სახსრებით იქნეს გადახდილი ან აღსრულების ფასის შემცირების გზით) აქციებზე დაფუძნებულ გადახდაზე უფლების მინიჭების თარიღსა და აღსრულების თარიღებს შორის, გადაცემული ოფციონები ისე უნდა შეფასდეს, თითქოს დივიდენდები არ გადაიხდება ქვემდებარე აქციებზე, ე.ი. მოსალოდნელი დივიდენდების მონაცემი ნული იქნება.

ბ33. ანალოგიურად, როდესაც დასაქმებულთათვის გამოყოფილი აქციების სამართლიანი ღირებულების გამოთვლა აქციებზე დაფუძნებულ გადახდაზე უფლების მინიჭების თარიღისათვის ხდება, კორექტირება არ მოითხოვება მოსალოდნელი დივიდენდების გასათვალისწინებლად, თუ დასაქმებული უფლებამოსილია მიიღოს დივიდენდები, რომლებიც გადახდილია უფლების გადაცემის პერიოდის განმავლობაში.

ბ34. პირიქით, თუ დასაქმებულები უფლებამოსილნი არ არიან დივიდენდების ან დივიდენდების ანალოგიური თანხების მიღებაზე უფლების გადაცემის პერიოდის განმავლობაში (ან აღსრულებამდე, ოფციონის შემთხვევაში), აქციებზე დაფუძნებულ გადახდაზე უფლების მინიჭების თარიღისთვის აქციის ოფციონებზე ან აქციებზე უფლების შეფასებამ უნდა გაითვალისწინოს მოსალოდნელი დივიდენდები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, როდესაც ოფციონზე მინიჭებული უფლების სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება, მოსალოდნელი დივიდენდები უნდა ჩაირთოს ოფციონის შეფასების მოდელის გამოყენებაში. როდესაც ოფციონის უფლების სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება, შეფასება უნდა შემცირდეს უფლების გადაცემის პერიოდის განმავლობაში მოსალოდნელი გადასახდელი დივიდენდების დღევანდელი ღირებულებით.

ბ35. ოფციონის შეფასების მოდელები, ზოგადად, ითვალისწინებს მოსალოდნელი დივიდენდების შემოსავლიანობას. თუმცა, მოდელები შეიძლება მოდიფიცირებული იყოს მოსალოდნელი დივიდენდების თანხის გამოყენებით, შემოსავლიანობის ნაცვლად. საწარმომ შეიძლება გამოიყენოს ან მოსალოდნელი შემოსავლიანობა, ან მოსალოდნელი გადახდები. თუ საწარმო ამ უკანას-

 © IFRS Foundation

კნელს იყენებს, მან უნდა გაითვალისწინოს მისი დივიდენდების ზრდის წარსული ნიმუში. მაგალითად, თუ საწარმოს ზოგადი პოლიტიკაა დივიდენდების ზრდა წელიწადში დაახლოებით 3%-ით, მისი ოფციონის გამოთვლილი ღირებულება არ უნდა ითვალისწინებდეს დივიდენდის ფიქსირებულ თანხას ოფციონის ვადის განმავლობაში, თუ ამ დაშვების მხარდამჭერი მტკიცებულება არ არსებობს.

ბ36. ზოგადად, მოსალოდნელი დივიდენდების შესახებ დაშვება უნდა ეყრდნობოდეს საჯაროდ ხელმისაწვდომ ინფორმაციას. საწარმომ, რომელიც არ იხდის დივიდენდებს და არც აპირებს ამის გაკეთებას, უნდა იგულისხმოს, რომ მოსალოდნელი დივიდენდების შემოსავლიანობა ნულის ტოლია. თუმცა, ახლად შექმნილი საწარმო, დივიდენდების გადახდის წარსული გამოცდილების გარეშე, უნდა ელოდებოდეს დივიდენდების გადახდის დაწყებას დასაქმებულთა აქციის ოფციონების მოსალოდნელი ვადის განმავლობაში. ამ საწარმოებმა შეიძლება გამოიყენონ თავიანთი წარსული დივიდენდური შემოსავლიანობის საშუალო რაოდენობა (ნული), ან სათანადოდ შესადარისი თანასწორი ჯგუფის საშუალო შემოსავლიანობა.

### ურისკო საპროცენტო განაკვეთი

ბ37. ჩვეულებრივ, ურისკო საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს მიმდინარე პერიოდში ხელმისაწვდომ ნაგულისხმევ შემოსავლიანობას ნულოვანი საპროცენტო განაკვეთის მქონე სახელმწიფო ობლიგაციებზე იმ ქვეყნებში, რომელთა ვალუტაშიც გამოსახულია ოფციონის აღსრულების ფასი, შეფასებული ოფციონის მოსალოდნელი ვადის ტოლი დარჩენილი ვადით (ოფციონის დარჩენილ სახელშეკრულებო ვადაზე დაყრდნობით და მოსალოდნელი ადრე აღსრულების შედეგების გათვალისწინებით). შეიძლება საჭირო გახდეს სათანადო შემცვლელის გამოყენება, თუ ასეთი სახელმწიფო ობლიგაციები არ არსებობს, ან გარემოებები მიუთითებს, რომ ნაგულისხმევი შემოსავლიანობა ნულოვანი განაკვეთის მქონე სახელმწიფო ობლიგაციებზე, ურისკო საპროცენტო განაკვეთის ნიმუშად არ გამოდგება (მაგალითად, მაღალინფლაციური ეკონომიკის მქონე ქვეყნებში (რეგიონებში). ასევე, სათანადო შემცვლელის გამოყენებაა საჭირო, თუ ბაზრის მონაწილეები, ჩვეულებრივ, ურისკო საპროცენტო განაკვეთს ამ შემცვლელის გამოყენებით ადგენენ, ნაცვლად ნაგულისხმევი შემოსავლიანობისა, ნულოვანი განაკვეთის მქონე სახელმწიფო ობლიგაციებზე, როდესაც გამოითვლება ოფციონის სამართლიანი ღირებულება, რომლის ვადა შესაფასებელი ოფციონის მოსალოდნელი ვადის ტოლია.

### კაპიტალის სტრუქტურის ეფექტები

ბ38. სავაჭრო აქციის ოფციონებს, ჩვეულებრივ, მესამე მხარეები ყიდიან და არა საწარმო. როდესაც ამ აქციის ოფციონებს აღასრულებენ, გამომცემელი აქციებს გადასცემს ოფციონის მფლობელს. ეს აქციები შეძენილია არსებული აქციონერებისაგან. აქედან გამომდინარე, სავაჭრო აქციის ოფციონების აღსრულებას გაზავების ეფექტი არ გააჩნია.

ბ39. პირიქით, როდესაც ოფციონები საწარმოს მიერ არის გაყიდული, ახალი აქციები გამოიცემა ამ ოფციონების აღსრულებისას (ან ფაქტობრივად გამოიცემა, ან არსებითად, თუ ადრე გამოსყიდული და ხაზინაში მყოფი აქციები გამოყენებულია). ცნობილია რა, რომ აქციები უნდა გამოიცეს აღსრულების ფასით და არა საბაზრო ფასით აღსრულების თარიღისათვის, ამ ფაქტობრივმა ან პოტენციურმა გაზავებამ შეიძლება აქციების ფასი შეამციროს. ასე, რომ მსგავსი სავაჭრო ოფციონის აღსრულებისას, ოფციონის მფლობელი ვერ მიიღებს ისეთ სარგებელს აღსრულებისას, როგორც სხვა შემთხვევაში, რომელიც არ იწვევს აქციათა ფასის გაზავებას.

ბ40. აქვს თუ არა ამას მნიშვნელოვანი გავლენა გადასაცემად გამოყოფილი ოფციონების ღირებულებაზე, დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე, მაგალითად ოფციონების აღსრულებისას გამოსაშვები ახალი აქციების რაოდენობაზე, უკვე გამოშვებული აქციების რაოდენობასთან შედარებით. ასევე, თუ ბაზარზე უკვე მოსალოდნელია, რომ განხორციელდება ოფციონების გადაცემა, შესაძლოა ბაზარზე უკვე ნაჩვენები იყოს აქციების ფასის პოტენციური შემცირება აქციებზე დაფუძნებულ გადახდაზე უფლების მინიჭების თარიღისათვის.

ბ41 მიუხედავად ამისა, საწარმომ უნდა გაითვალისწინოს, გამოყოფილი ოფციონების მომავალი აღსრულების შესაძლო გაზავების ეფექტი გავლენას იქონიებს თუ არა აქციებზე დაფუძნებულ გადახდის სამართლიანი ღირებულების გამოთვლებზე უფლების მინიჭების თარიღისათვის.

© IFRS Foundation

შესაძლებელია ოფციონის შეფასების მოდელების ადაპტირება, პოტენციური გაზავებითი ეფექტის გათვალისწინებით.

### წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით აქციებზე დაფუძნებული გადახდის შეთანხმებების მოდიფიკაცია

ბ42. 27-ე პუნქტი მოითხოვს, რომ მიუხედავად იმ ვადებისა და პირობების ნებისმიერი მოდიფიკაციისა, რომლითაც წილობრივი ინსტრუმენტების გამოყოფა მოხდა, ან წილობრივი ინსტრუმენტების გამოყოფა გაუქმდა ან გადაიხადა საწარმომ, საწარმომ უნდა აღიაროს, სულ მცირე, მიღებული მომსახურება, რომელიც შეფასებული იქნება გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულებით აქციებზე დაფუძნებულ გადახდაზე უფლების მინიჭების თარიღისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ამ წილობრივ ინსტრუმენტებზე უფლება გადაცემული არ არის, აქციებზე დაფუძნებულ გადახდაზე უფლების მინიჭების თარიღისთვის განსაზღვრული უფლების გადაცემის პირობების (რომლებიც არ არის საბაზრო პირობები) შეუსრულებლობის გამო. გარდა ამისა, საწარმომ უნდა აღიაროს მოდიფიკაციის შედეგები, რომლებიც ზრდის აქციებზე დაფუძნებული გადახდის შეთანხმების მთლიან სამართლიან ღირებულებას, ან სხვაგვარად არის სასარგებლო დასაქმებულისთვის.

ბ43. 27-ე პუნქტის მოთხოვნების შესასრულებლად:

ა) თუ მოდიფიკაცია ზრდის გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებას (მაგალითად, აღსრულების ფასის შემცირებით), რომელიც შეფასებულია უშუალოდ მოდიფიკაციამდე და მის შემდეგ, საწარმომ გადაცემული დამატებითი სამართლიანი ღირებულება უნდა ჩართოს მიღებული მომსახურების, როგორც გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტების ანაზღაურების აღიარებული თანხის შეფასებაში. გადაცემული დამატებითი სამართლიანი ღირებულება წარმოადგენს სხვაობას მოდიფიცირებული წილობრივი ინსტრუმენტის სამართლიან ღირებულებასა და წილობრივი ინსტრუმენტის საწყის სამართლიან ღირებულებას შორის, რომელიც გამოთვლილია მოდიფიკაციის თარიღისთვის. თუ მოდიფიკაცია ხორციელდება უფლების გადაცემის პერიოდის განმავლობაში, გადაცემული დამატებითი სამართლიანი ღირებულება ჩაირთვება მიღებული მომსახურებისათვის პერიოდის განმავლობაში აღიარებული თანხის შეფასებაში – დაწყებული მოდიფიცირების თარიღიდან, დამთავრებული თარიღით, როდესაც მოდიფიცირებულ წილობრივ ინსტრუმენტზე უფლების გადაცემა მოხდა, იმ თანხაზე დამატებით, რომელიც ეყრდნობა თავდაპირველი წილობრივი ინსტრუმენტის სამართლიან ღირებულებას აქციებზე დაფუძნებულ გადახდაზე უფლების მინიჭების თარიღისათვის, რომელიც აღიარდება უფლების გადაცემის თავდაპირველი პერიოდის დარჩენილი ნაწილის განმავლობაში. თუ მოდიფიცირება უფლების გადაცემის თარიღის შემდეგ ხორციელდება, გადაცემული დამატებითი სამართლიანი ღირებულება მაშინვე აღიარდება ან უფლების გადაცემის პერიოდის განმავლობაში, თუ დასაქმებულს მოეთხოვება მომსახურების დამატებითი პერიოდის დასრულება მანამ, სანამ უპირობოდ უფლებამოსილი გახდება მოცემულ მოდიფიცირებულ წილობრივ ინსტრუმენტებზე;

ბ) ანალოგიურად, თუ მოდიფიკაცია ზრდის გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტების რაოდენობას, საწარმომ უნდა ჩართოს მოდიფიკაციის თარიღისათვის შეფასებული დამატებით გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტების ანაზღაურებისათვის მიღებული მომსახურების აღიარებული თანხის შეფასებაში, ზემოთ მოყვანილი (ა) მოთხოვნების შესაბამისად. მაგალითად, თუ მოდიფიცირება უფლების გადაცემის პერიოდის განმავლობაში ხდება, გამოყოფილი დამატებითი წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება ჩაირთვება პერიოდის განმავლობაში მიღებული მომსახურების აღიარებული თანხის შეფასებაში – დაწყებული მოდიფიცირების თარიღიდან, დამთავრებული თარიღით, როდესაც მოხდა დამატებით წილობრივ ინსტრუმენტზე უფლების გადაცემა, იმ თანხასთან ერთად, რომელიც ეყრდნობა თავდაპირველი წილობრივი ინსტრუმენტის სამართლიან ღირებულებას აქციებზე დაფუძნებულ გადახდაზე უფლების მინიჭების თარიღისათვის და აღიარებულია უფლების გადაცემის თავდაპირველი პერიოდის დარჩენილი ნაწილის განმავლობაში;

გ) თუ საწარმო უფლების გადაცემის პირობებს ცვლის დასაქმებულისთვის სასარგებლო სახით, მაგალითად, უფლების გადაცემის პერიოდის შემცირებით ან საქმიანობის პირობის


© IFRS Foundation

(რომელიც არ არის საბაზრო პირობა, რომელთა ცვლილებები აღირიცხება ზემოთ მოყვანილი (ა) პუნქტის თანახმად) შეცვლით ან გაუქმებით, საწარმომ უნდა გაითვალისწინოს უფლების გადაცემის მოდიფიცირებული პირობები, 19-21-ე პუნქტების მოთხოვნათა გამოყენებისას.

ბ44. ამის შემდგომ, თუ საწარმო ცვლის გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტების ვადებსა და პირობებს ისეთი სახით, რაც ამცირებს აქციებზე დაფუძნებული გადახდის შეთანხმების მთლიან სამართლიან ღირებულებას, ან სხვაგვარად არ არის ხელსაყრელი დასაქმებულისთვის, საწარმომ მაინც უნდა გააგრძელოს მიღებული მომსახურების, როგორც გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტების ანაზღაურების აღრიცხვა იმგვარად, თითქოს ეს მოდიფიცირება არც მომხდარა (გარდა ზოგიერთი ან ყველა გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტის გაუქმების შემთხვევისა, რაც უნდა აღირიცხოს 28-ე პუნქტის შესაბამისად). მაგალითად:

ა) თუ მოდიფიკაცია ამცირებს გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებას, რომელიც შეფასებულია უშუალოდ მოდიფიკაციამდე და მის შემდეგ, საწარმომ მხედველობაში არ უნდა მიიღოს ეს შემცირება სამართლიან ღირებულებაში და გააგრძელოს მიღებული მომსახურებისათვის, როგორც გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტების ანაზღაურებისათვის, აღიარებული თანხის შეფასება, გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებაზე დაყრდნობით, აქციებზე დაფუძნებულ გადახდაზე უფლების მინიჭების თარიღისათვის;

ბ) თუ მოდიფიკაცია ამცირებს დასაქმებულებზე გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტების რაოდენობას, ეს შემცირება უნდა აღირიცხოს როგორც გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტების ამ ნაწილის გაუქმება, 28-ე პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად;

გ) თუ საწარმო უფლების გადაცემის პირობებს ცვლის ისე, რომ ეს არახელსაყრელია დასაქმებულისთვის, მაგალითად, უფლების გადაცემის პერიოდის გაზრდით ან საქმიანობის პირობის (რომელიც არ არის საბაზრო პირობა და მისი ცვლილებები აღირიცხება ზემოთ მოყვანილი (ა) პუნქტის თანახმად) მოდიფიკაციით ან დამატებით, საწარმომ არ უნდა გაითვალისწინოს უფლების გადაცემის მოდიფიცირებული პირობები, როდესაც იყენებს 19-21-ე პუნქტების მოთხოვნებს.

**აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციის მოდიფიკაციის აღრიცხვა, რომლის შედეგად იცვლება ოპერაციის კლასიფიკაცია: „აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაცია ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით“ ხდება „აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაცია წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით“**

ბ44ა. თუ ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციის ვადები და პირობები იმგვარად იცვლება, რომ ის გადაიქცევა აქციებზე დაფუძნებულ გადახდის ოპერაციად, წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით, მაშინ მოდიფიკაციის თარიღიდან მისი აღრიცხვა განხორციელდება ამგვარი ოპერაციის სახით. კერძოდ:

ა) აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაცია, წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით შეფასდება მოდიფიკაციის თარიღის მდგომარეობით გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების საფუძველზე. აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაცია წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით მოდიფიკაციის თარიღისთვის აღიარდება საკუთარ კაპიტალში, იმ მოცულობით, რა მოცულობის საქონელი ან მომსახურება აქვს მიღებული საწარმოს;

ბ) მოდიფიკაციის თარიღისთვის შეწყდება ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციასთან დაკავშირებული ვალდებულების აღიარება, რომელიც არსებობს მოდიფიკაციის თარიღის მდგომარეობით;

გ) სხვაობა აღიარებაშეწყვეტილი ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და მოდიფიკაციის თარიღისთვის საკუთარი კაპიტალის შემადგენლობაში აღიარებულ თანხას შორის დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ბ44ბ. თუ მოდიფიკაციის შედეგად უფლების გადაცემის პერიოდი იზრდება ან მცირდება, ბ44ა პუნქტის მოთხოვნები საწარმომ უნდა გამოიყენოს უფლების გადაცემის შეცვლილი პერიოდის

გათვალისწინებით. ბ44ა პუნქტის მოთხოვნები საწარმომ იმ შემთხვევაშიც უნდა გამოიყენოს, თუ მოდიფიკაცია უფლების გადაცემის პერიოდის შემდეგ განხორციელდა.

ბ44გ. აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაცია ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით შეიძლება გაუქმდეს, ან დაიფაროს (იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ოპერაცია უქმდება უფლების ჩამორთმევის გზით, იმის გამო, რომ უფლების გადაცემის პირობები არ შესრულდა). თუ წილობრივი ინსტრუმენტები გამოყოფილია და მათზე უფლების მინიჭების თარიღისთვის საწარმო დაადგენს, რომ წილობრივი ინსტრუმენტების გამოყოფა არის ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით აქციებზე დაფუძნებული გაუქმებული გადახდის ოპერაციის ჩანაცვლება, მაშინ საწარმომ უნდა გამოიყენოს ბ44ა და ბ44ბ პუნქტები.

### აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციები ჯგუფის საწარმოთა შორის

ბ45. 43ა-43გ ეხება ჯგუფის საწარმოთა შორის განხორციელებული აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციების ბუღალტრული აღრიცხვის წესს თითოეული საწარმოს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. ბ46-ბ61 პუნქტებში განხილულია, როგორ უნდა გამოიყენოს საწარმომ 43ა-43გ პუნქტების მოთხოვნები. როგორც აღნიშნულია 43დ პუნქტში, ჯგუფის საწარმოებს შორის აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციების განხორციელება შეიძლება მრავალმა მიზეზმა განაპირობოს, კონკრეტული ფაქტებისა და გარემოებებისდა მიხედვით. მაშასადამე, ეს განხილვა ამომწურავ მაგალითებს არ მოიცავს და გულისხმობს, რომ როდესაც საქონლის ან მომსახურების მიმღებ საწარმოს არა აქვს ამგვარი ოპერაციისთვის ანგარიშსწორების ვალდებულება, ეს ოპერაცია არის მშობელი საწარმოს მიერ შვილობილ საწარმოში წილის შეტანა, შიდაჯგუფური გადახდის შეთანხმების ხასიათის მიუხედავად.

ბ46. მართალია, შემდეგ პუნქტებში მოცემული განხილვა ეხება დასაქმებულებთან განხორციელებულ ოპერაციებს, მაგრამ ეს მოსაზრებები ასევე ეხება, დასაქმებულების გარდა, საქონლის ან მომსახურების სხვა მომწოდებლებთან განხორციელებულ აქციებზე დაფუძნებული გადახდის ანალოგიურ ოპერაციებსაც. მშობელ და შვილობილ საწარმოებს შორის დადებული შეთანხმება შეიძლება მოითხოვდეს, რომ შვილობილმა საწარმომ მშობელ საწარმოს გადაუხადოს დასაქმებულებისთვის წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემისთვის. განხილვა არ ეხება ამგვარი შიდაჯგუფური შეთანხმების აღრიცხვის წესს.

ბ47. ჯგუფის საწარმოთა შორის განხორციელებულ აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციების აღრიცხვის დროს, საწარმოები, ძირითადად, ოთხ პრობლემას აწყდებიან. მეტი სიცხადისთვის, ქვემოთ განხილულ მაგალითებში საკითხები განხილულია მშობელი და მისი შვილობილი საწარმოების პოზიციიდან.

### აქციებზე დაფუძნებული გადახდის შეთანხმებები, რომლებიც მოიცავს ანგარიშვალდებული საწარმოს საკუთარ წილობრივ ინსტრუმენტებს

ბ48. პირველი პრობლემა მდგომარეობს შემდეგში: როგორ უნდა აისახოს წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად შემდეგი ოპერაციები (რომლებიც მოიცავს ანგარიშვალდებული საწარმოს საკუთარ წილობრივ ინსტრუმენტებს) - როგორც წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით ოპერაცია თუ ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით ოპერაცია):

ა) საწარმო დასაქმებულებს ანიჭებს თავისი წილობრივი ინსტრუმენტების მიღების უფლებას (მაგ., აქციის ოფციონები) და მას არჩევანის უფლება აქვს, ან მოეთხოვება ამ წილობრივი ინსტრუმენტების ყიდვა (ე.ი. საკუთარი აქციების გამოსყიდვა) სხვა მხარისგან, რათა შეასრულოს დასაქმებულების მიმართ არსებული ვალდებულებები; და

ბ) საწარმოს დასაქმებულებს თვითონ საწარმო, ან მისი აქციონერები ანიჭებენ საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების (მაგ., აქციის ოფციონების) მიღების უფლებას და საწარმოს აქციონერები მათ გადასცემენ საჭირო წილობრივ ინსტრუმენტებს.

ბ49. საწარმომ აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაცია, რომლის თანახმად ის მომსახურებას იღებს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების სანაცვლოდ, უნდა ასახოს როგორც წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით ოპერაცია. ეს წესი გამოიყენება ორივე შემთხვევაში, იმის მიუხედავად, საწარმოს არჩევანის უფლება აქვს თუ მოეთხოვება ამ წილობრივი ინსტრუმენტების ყიდვა სხვა მხარისგან, რათა შეასრულოს აქციებზე დაფუძნებული გადახდის

 © IFRS Foundation

შეთანხმების მიხედვით თავისი დასაქმებულების მიმართ აღებული ვალდებულებები. ეს პრინციპი გამოიყენება ასევე იმის მიუხედავადაც:

ა) დასაქმებულებს საწარმოს წილობრივი ინსტრუმენტების მიღების უფლები თვითონ საწარმომ მიანიჭა თუ მისმა აქციონერ(ებ)მა; ან

ბ) აქციებზე დაფუძნებული გადახდის შეთანხმების მიხედვით ვინ გადაიხადა - თვითონ საწარმომ თუ მისმა აქციონერ(ებ)მა.

ბ50. თუ შეთანხმების შესაბამისად, აქციონერს აქვს ინვესტირებული საწარმოს დასაქმებულებისთვის გადახდის ვალდებულება, ის გადასცემს ინვესტირებული საწარმოს წილობრივ ინსტრუმენტებს და არა საკუთარს. ამგვარად, თუ ინვესტირებული საწარმო იმავე ჯგუფის წევრია, რომლისაც ეს აქციონერი, 43გ პუნქტის შესაბამისად, აქციონერმა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში თავისი ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციებს, ხოლო აქციონერის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კი იმ მოთხოვნების მიხედვით, რომლებიც გამოიყენება წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციებისთვის.

**აქციებზე დაფუძნებული გადახდის შეთანხმებები, რომლებიც მოიცავს მშობელი საწარმოს საკუთარ წილობრივ ინსტრუმენტებს**

ბ51. მეორე პრობლემა ეხება ერთი და იმავე ჯგუფის ორ ან მეტ საწარმოს შორის განხორციელებულ აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციებს, რომლებიც მოიცავს ჯგუფის სხვა საწარმოს წილობრივ ინსტრუმენტს. მაგალითად, როდესაც შვილობილი საწარმოს დასაქმებულებს ენიჭებათ მშობელი საწარმოს წილობრივი ინსტრუმენტების მიღების უფლება, შვილობილი საწარმოსთვის გაწეული მომსახურების კომპენსაციის სახით.

ბ52. ამგვარად, მეორე პრობლემა ეხება შემდეგი სახის აქციებზე დაფუძნებული გადახდის შეთანხმებებს:

ა) მშობელი საწარმო თავის წილობრივ ინსტრუმენტებზე უფლებას თვითონ ანიჭებს პირდაპირ შვილობილი საწარმოს დასაქმებულებს: შვილობილი საწარმოს დასაქმებულების წილობრივი ინსტრუმენტებით უზრუნველყოფის ვალდებულება ეკისრება მშობელ საწარმოს (და არა შვილობილს); და

ბ) შვილობილი საწარმო თავის დასაქმებულებს ანიჭებს მშობელი საწარმოს წილობრივ ინსტრუმენტებზე უფლებას: შვილობილ საწარმოს არა აქვს თავისი დასაქმებულების წილობრივი ინსტრუმენტებით უზრუნველყოფის ვალდებულება.

*მშობელი საწარმო თავის წილობრივ ინსტრუმენტებზე უფლებას ანიჭებს შვილობილი საწარმოს დასაქმებულებს (პუნქტი ბ52(ა))*

ბ53. შვილობილ საწარმოს არა აქვს თავისი დასაქმებულების უზრუნველყოფის ვალდებულება მშობელი საწარმოს წილობრივი ინსტრუმენტებით. ამგვარად, 43ბ პუნქტის შესაბამისად, შვილობილმა საწარმომ თავისი დასაქმებულებისგან მიღებული მომსახურება უნდა შეაფასოს წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციებისთვის დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად და საკუთარი კაპიტალის შესაბამისი ზრდა აღიაროს, როგორც მშობელი საწარმოს მიერ წილის შეტანა.

ბ54. მშობელ საწარმოს აქვს ვალდებულება, შვილობილი საწარმოს დასაქმებულებთან დადებული გარიგებისთვის გადაიხადოს მშობელი საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით. ამგვარად, 43გ პუნქტის შესაბამისად, მშობელმა საწარმომ თავისი ვალდებულება უნდა შეაფასოს წილობრივი ინატრუმენტებით განსაზღვრული აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციებისთვის დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

*შვილობილი საწარმო თავის დასაქმებულებს ანიჭებს მშობელი საწარმოს წილობრივ ინსტრუმენტებზე უფლებას (პუნქტი ბ52(ბ))*

ბ55. ვინაიდან შვილობილი საწარმო არ აკმაყოფილებს 43ბ პუნქტის არც ერთ პირობას, მან დასაქმებულებთან განხორციელებული ოპერაცია უნდა ასახოს როგორც ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაცია. ეს მოთხოვნა გამოიყენება

იმის მიუხედავად, როგორ მოიპოვებს ის წილობრივ ინსტრუმენტებს, დასაქმებულების მიმართ თავისი ვალდებულებების დასაფარად.

**აქციებზე დაფუძნებული გადახდის შეთანხმებები, რომლებიც ითვალისწინებს დასაქმებულებისთვის ფულადი სახსრებით გადახდას**

ბ56. მესამე პრობლემა მდგომარეობს შემდეგში: როგორ უნდა ასახოს თავისი მომწოდებლებისგან (მათ შორის დასაქმებულებისგან) საქონლის ან მომსახურების მიმღებმა საწარმომ ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით აქციებზე დაფუძნებული გადახდის შეთანხმებები, როდესაც თვითონ საწარმოს არა აქვს თავისი მომწოდებლებისთვის ამ შეთანხმებისთვის გადახდის არანაირი ვალდებულება. მაგალითად, განვიხილოთ შემდეგი შეთანხმებები, რომლის თანახმადაც მშობელ საწარმოს (და არა თვითონ ანგარიშვალდებულ საწარმოს) აქვს ანგარიშვალდებული საწარმოს დასაქმებულებისთვის საჭირო ფულის გადახდის ვალდებულება:

ა) ანგარიშვალდებული საწარმოს დასაქმებულები კომპენსაციას მიიღებენ ფულადი სახსრებით, რომლის სიდიდე დამოკიდებულია მისი წილობრივი ინსტრუმენტების ფასზე;

ბ) ანგარიშვალდებული საწარმოს დასაქმებულები კომპენსაციას მიიღებენ ფულადი სახსრებით, რომლის სიდიდე დამოკიდებულია მისი მშობელი საწარმოს წილობრივი ინსტრუმენტების ფასზე.

ბ57. შვილობილ საწარმოს არა აქვს თავის დასაქმებულებთან დადებული გარიგებისთვის გადახდის ვალდებულება. ამგვარად, შვილობილმა საწარმომ თავის დასაქმებულებთან განხორციელებული ოპერაცია უნდა ასახოს, როგორც წილობრივი ინატრუმენტებით განსაზღვრული აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაცია და საკუთარი კაპიტალის შესაბამისი ზრდა აღიაროს, როგორც მშობელი საწარმოს მიერ წილის შეტანა. შემდგომში შვილობილმა საწარმომ ამ გარიგების ღირებულება ხელახლა უნდა შეაფასოს 19-21 პუნქტების შესაბამისად, უფლების გადაცემის არასაბაზრო პირობებში მომხდარი ისეთი ცვლილებების გასათვალისწინებლად, რომლებიც არ შესრულდა. ეს შეფასება განსხვავებული იქნება ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული შეფასებისგან, სადაც ოპერაცია შეფასებულია, როგორც ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაცია.

ბ58. ვინაიდან შვილობილ საწარმოს არა აქვს ამ გარიგების მიხედვით დასაქმებულებისთვის გადახდის ვალდებულება და ანაზღაურება ფულადი სახსრებით გაიცემა, მშობელმა საწარმომ (და კონსოლიდირებულმა ჯგუფმა) თავისი ვალდებულება უნდა შეაფასოს ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციებისთვის დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, 43გ პუნქტის მიხედვით.

**დასაქმებულთა მიერ სამუშაოს შეცვლა ჯგუფის საწარმოთა ფარგლებში**

ბ59. მეოთხე პრობლემა უკავშირდება ჯგუფის აქციებზე დაფუძნებული გადახდის შეთანხმებებს, რომლებიც ეხება ჯგუფის ერთზე მეტი საწარმოს დასაქმებულებს. მაგალითად, მშობელმა საწარმომ შეიძლება თავის წილობრივ ინსტრუმენტებზე უფლები მიანიჭოს შვილობილი საწარმოს დასაქმებულებს, იმ პირობით, თუ ისინი დათქმული პერიოდის მანძილზე დარჩებიან ჯგუფში სამუშაოდ. ერთი შვილობილი საწარმოს დასაქმებული შეიძლება სამუშაოდ გადავიდეს სხვა შვილობილ საწარმოში, დათქმული უფლების გადაცემის პერიოდის განმავლობაში ისე, რომ ეს გავლენას არ ახდენდეს დასაქმებულებისთვის აქციებზე დაფუძნებული გადახდის თავდაპირველი შეთანხმებით მინიჭებულ უფლებზე, მშობელი საწარმოს წილობრივ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით. თუ შვილობილ საწარმოებს არა აქვთ დასაქმებულებთან განხორციელებული აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციის მიხედვით გადახდის ვალდებულება, მათ ეს ოპერაცია უნდა ასახონ, როგორც წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით ოპერაცია. თითოეულმა შვილობილმა საწარმომ დასაქმებულებისგან მიღებული მომსახურება უნდა შეაფასოს წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულებით, რომელიც განისაზღვრება იმ თარიღისათვის, როდესაც მშობელმა საწარმომ წილობრივი ინსტრუმენტები გამოყო თავდაპირველად (როგორც განმარტებულია „ა“ დანართში) და უფლების გადაცემის პერიოდის იმ ნაწილის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც დასაქმებული მუშაობდა თითოეულ შვილობილ საწარმოში.

ბ60. თუ შვილობილ საწარმოს აკისრია ვალდებულება, დასაქმებულებთან განხორციელებული აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციისთვის თვითონ გადაიხადოს თავისი მშობელი საწარმოს

 © IFRS Foundation

წილობრივი ინსტრუმენტებით, მან ეს ოპერაცია უნდა ასახოს, როგორც ოპერაცია ფულადი სახსრებით ანგარიშსწორებით. თითოეულმა შვილობილმა საწარმომ მიღებული მომსახურება უნდა შეაფასოს აქციებზე დაფუძნებულ გადახდაზე უფლების მინიჭების თარიღისთვის განსაზღვრული წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულებით, უფლების გადაცემის პერიოდის იმ ნაწილის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც დასაქმებული მუშაობდა თითოეულ შვილობილ საწარმოში. გარდა ამისა, თითოეულმა შვილობილმა საწარმომ უნდა აღიაროს წილობრივი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ცვლილება, რომელსაც ადგილი ჰქონდა თითოეულ შვილობილ საწარმოში დასაქმებულის მუშაობის პერიოდის განმავლობაში.

ბ61. ამგვარმა დასაქმებულმა, ჯგუფის საწარმოთა ფარგლებში სამუშაო ადგილის შეცვლის შემდეგ, შეიძლება ვერ დააკმაყოფილოს უფლების გადაცემის რომელიმე პირობა, რომელიც არ არის საბაზრო პირობა, „ა“ დანართში მოცემული განმარტების თანახმად, მაგ., დასაქმებული ჯგუფიდან მიდის მომსახურების პერიოდის დასრულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ვინაიდან უფლების გადაცემის პირობა ჯგუფში მუშაობის პირობაა, თითოეულმა შვილობილმა საწარმომ ამ დასაქმებულისგან ადრე მიღებულ მომსახურებასთან დაკავშირებით აღიარებული თანხა უნდა შეასწოროს, მე-19 პუნქტით გათვალისწინებული პრინციპების შესაბამისად. მაშასადამე, თუ არ მოხდება მშობელი საწარმოს მიერ წილობრივ ინსტრუმენტებზე გამოყოფილი უფლების გადაცემა იმის გამო, რომ დასაქმებულმა ვერ დააკმაყოფილა უფლების გადაცემის რომელიმე პირობა, რომელიც არ არის საბაზრო პირობა, არავითარი თანხა არ აღიარდება ამ დასაქმებულისგან მიღებული მომსახურებისთვის ერთიანად, კუმულაციურ საფუძველზე, ჯგუფის რომელიმე საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში.

© IFRS Foundation